საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ხუთშაბათი, 25 სექტემბერი, 1919 წ.

ერთობა

ფასი 2 მანეთი

გაზეთი ღირს 1 თვით 50 მანეთი, ცალკე ნომერი ყველგან 2 მანეთი, განცხადების ფასი, რომ[illegible] [illegible]ლ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის [illegible] მანეთი. საქრონიკო განცხადება ჩვეულებრივი ზომის 60 მანეთი. ნისია განცხადებები არ დაიბეჭდება. რედაქც. და კანტორის ადრესი: რუსთაველის პრ. № 24.

ტელეფონი 16—62.

№ 217 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 217

მეუღლე ბართა მიქავას ასული, შვილები: პართენი, მაკრინე, თებრონე, ოლინკა და მატო, ძმა სიდო და სიძეები: იაკობა ქაჯაია და მეთოდე კოკაია გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ სოფ. ონოღიაში გარდაიცვალა მათი საყვარელი და დაუვიწყარი

ივანე გოგის ძე ჯიქია

დასაფლავება მოხდება დღეს, ხუთშაბათს, 25 ენკენისთვეს ონოღიის ნათლის მცემლის იკლესიის ეზოში.

გულდათუთქული მშობლები: ლაზარაბ დიმიტრის ძე და ეკატერინე იაგორის ასული, დები: თამარა და ევგენია და ძმა გვარდიის აფიცერი ირაკლი—ხელაძეები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ხანგრძლივი ავათმყოფობის შემდეგ, 23 სექტემბერს, გარდაიცვალა მათი უსაყვარლესი შვილი და ძმა

ალექსანდრე (შურა) ხელაძე

გამოსვენება ბიბიდან დღეს, 25 სექტემბერს, დილის 10 საათზე, ბებუთოვის ქ. № 16, კალოუბნის ეკლესიაში; დასაფლავება კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე.

დამწუხრებული მშობლები მათე ხუხუნაიშვილი და კესარია შვილებით უღრმეს მადლობას უცხადებენ მთავარ შტაბს, გვარდიელებს და ნაცნობ-მოკეთეთ, მათი საყვარელ შვილის სახ. გვარდიის განსვენებულ პოდპოლკოვნიკის

სიმონ ხუხუნაიშვილის

სამშობლოში წასვენებაზე დასწრებით და კეთილმზრუნველობით პატივისცემისათვის.

გამოსულია გასაყიდად

დ. თურდოსპირელის

„გაწყვეტილი ზღაპარი"

ფასი 5 მან.

[illegible]ვნების პარტიობით დაბარება შეიძლება ამ მისამართით: თფილისი, უბანი „ვაკე", სახლი ლალიშვილისა. დ. ჩხეიძეს. (3—1)

კოოპერატივთა ყრილობა

8 ოქტომბრისათვის განზრახულია საქართველოს კოოპერატივთა ყრილობის მოწვევა.

ორი ყრილობა უკვე ქონდა ჩვენს დემოკრატიას: ერობების და გვარდიის. ე. ი., ჩვენი სახელმწიფო აპარატის და შეიარაღებული რევოლიუციური დემოკრატიის. ორი ფუძე—ჩვენი არსებობის—არკვევდა თავის საჭირ-ბოროტო საკითხებს.

8 ოქტომბერს კიდევ ჩვენი დემოკრატიის თვითმოქმედების, მისი ეკონომიური საქმიანობის მოხალისენი შეიყრიან თავს.

კოოპერაცია დემოკრატიულ მოძრაობის ერთი მნიშვნელოვანი ფორმათაგანია, რომელსაც დიდი როლი ეკუთვნის ცხოვრებაში.

ამ რევოლიუციის ხანაშიც და მის წინეთაც იგი თვალსაჩინო პოსტზე იდგა და თავის წვლილი შექონდა საერთო მუშაობაში.

რევოლიუციამდე იგი ნავთსაყუდელი იყო ჩვენი ახალთაობის, მისი იმედების, ორგანიზაციული სკოლა და თვითმოქმედების მასწავლებელი. რევოლიუციის პირველ ხანებში მას დიდი სახელმწიფოებრივი როლიც ერგო. იგი მონაწილეობდა სახელმწიფოებრივ თათბირებში, იგი იყო ელემენტი, რომელზედაც, სხვათა შორის, ეყრდნობოდა მთელი იგი სახელმწიფოებრივ ორგანიზაციებისა, სასურსათო და სხვა კომიტეტების სახით.

დღეს იგი ისევ თავის პირდაპირ დანიშნულებას—ვაჭრობის სფეროში მოღვაწეობას უბრუნდება. იგი ისევ ხდება ერთ უმთავრეს შუამავლად მომხმარებელსა და დამხადებელ შორის. მარა ეს დაბრუნება არ არის სრული და უცვლელი განმეორება ევროპის მომხმარებელ კოოპერატივთა პრაქტიკის.

განსაკუთრებული პირობები დღევანდელ ვითარების, განსაკუთრებული მდგომარეობა დიდი ფართე სოციალური გარდაქმნის, რომელსაც დღეს განიცდის კულტურული კაცობრიობა, ქმნის კოოპერატივებისთვის ახალ რთულ პრობლემებს და მოითხოვს მათ სისწორით და დაკვირვებით გადაჭრას.

ასეთ საკითხთაგანია—კოოპერატივების როლი ჩვენი ცხოვრების ეკონომიური მხრივ აღორძინების. კერძო სპეკულიანტებთან ბრძოლა დღეს არ შეიძლება განისაზღვროს მხოლოდ ალებ-მიცემობის სფეროთი. საერთო ნაკლებობა ნაწარმისა,—მოთხოვნილებასთან შედარებით, შეფერხება მრეწველობისა, კერძო ინიციატივის მოდუნება მოსპობა—კოლექტიური წყობილების ქარის ქროლის მიზეზით, აუცილებელს ხდის კოოპერატივთათვის ახალ ასპარეზზე შედგომას.

საზოგადოებრივ დაწესებულებათა შორის, რომელთაც სპეკულიაცია არ აინტერესებს, რომელთაც საზოგადოებრივი სიმდიდრის შექმნა და მომხმარებლის დაკმაყოფილება შეუძლიათ დაისახონ მიზნათ, ნაცვლად კაპიტალისტური სტიმულის—დიდი მოგებიანობისა—კოოპერატივებს არა უკანასკნელი ადგილი უჭირავთ.

აქედან იბადება საჭიროება ახალ გზის გამოძებნის—წარმოების სფეროში ჩაბმის,—და ამ მიზნით უმთავრესი ყურადღების მიქცევისა იმ დარგებისათვის, რომელთაც პირდაპირი კავშირი აქვთ მომხმარებლის პირველ საჭიროებასთან და კოოპერატივთათვის აუცილებელი არიან. ამ საზოგადოებრივ ეკონომიურ მუშაობაში ებმება დღეს მთავრობა და ერობებიც. მაშასადამე უნდა შემუშავდეს კონტაქტი ამ დემოკრატიულ ორგანოთა შორის, უნდა მიზანშეწონილათ იქნეს მიმართული მათი ენერგია.

დემოკრატია ყველა სახით და ფორმით უნდა მწყობრათ შეუდგეს ერთ და იმავე მიზნის სამსახურს—მომავალისთვის მტკიცე ნიადაგის შექმნას.

სხვაც რომ არა იყოს რა, ეს იმდენათ რთული და საჭირბოროტო საკითხებია, რომელთა გათვალისწინება, გაშუქება, გარკვევა—დიდს დაკვირვებას მოითხოვს. ჩვენ შევეცდებით კიდევ დავუბრუნდეთ ამ საგანს. ახლა კი მივაქცევთ კოოპერატივის მუშაკთა ყურადღებას ამ მომავალი ყრილობისაკენ, ჩვეულებრივი ენერგიული, ხალისიანი მზადება—აი რას მოითხოვს მათგან მომენტი.

პრესა

გაზ. „ზანგორი ძაინ" (№ 2) თავის წერილში საქართველოში მცხოვრებ სომეხთა ეროვნულ საბჭოს შესახებ შემდეგს სწერს:

„ჩვენ, სოც. დემოკრატიის სომხურ სექციის წარმომადგენლებმა საქართველოს სომეხთა ეროვნულ საბჭოში, პირველ რიგში უნდა მოვითხოვოთ, რომ დაუყოვნებლივ გაიხსნას და შეძლებისდაგვარათ უზრუნველყოფილ იქმნენ მუშებით დასახლებულ რაიონებსა და ღარიბ სოფლებში სომეხთა სკოლები.

„თუ სკოლების გაუმჯობესება გვინდა, არ შეიძლება სომეხი მასწავლებელი დღევანდელ საკოდავ მდგომარეობაში დავტოვოთ. ამისთვის ჩვენმა ფრაქციამ უნდა მოითხოვოს სომეხ მასწავლებლის ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესება და თვითგანვითარებისათვის უკეთეს პირობების შექმნა".

ჩვენი ამხანაგების ამ სურვილს ჩვენმა დამფუძნებელმა კრებამ და მთავრობამ უკვე წინ უსწრო: უკვე ფაქტიურად ტარდება საყოველთაო სავალდებულო სწავლის გეგმა; შედგენილია სასკოლო ქსელი და პირველი რიგი სკოლები მიმდინარე სასწავლო წლიდან უკვე გაიხსნება. სახალხო განათლება იქნება საყოველთაო, ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით; ყველა ეროვნების მცხოვრებთათვის იქნება გახსნილი სკოლების საკმაო რიცხვი და სწავლება მშობლიურ ენაზე იქნება შემოღებული. უეჭველია, ჩვენი განათლების სამინისტრო სკოლების გახსნას დაიწყებს სწორეთ იმ რაიონებიდან, როგორც ეს ჩვენს სომეხ ამხანაგებს უნდათ.

პასუხი სალდათთა ჯგუფს

ამხანაგებო! თქვენი წერილი მივიღე. დიდათ გმადლობთ იმ ნდობისა და თბილი გრძნობისათვის, რომლითაც სავსეა თქვენი ვრცელი წერილი.

რამდენიმე საკითხი თქვენი „ყაზარმათ ცხოვრებისა" მეტად გაწუხებთ და მთხოვთ ზოგიერთ მათგანზე გაზეთის საშუალებით გიპასუხოთ, რადგან „ეს სხვებისთვის საჭირო იქნებაო". ზოგიც პირადათ გადავსცე სამხედრო სამინისტროსთან არსებულ კულტურულ განყოფილებას. დიდის ხალისით ვასრულებ ერთსაც და მეორესაც.

პირველი—რაც თქვენს დიდ ყურადღებას იქცევს, არის „დისციპლინა". ამ ნიადაგზე თქვენი გადმოცემით დიდი უსიამოვნებაა თურმე ყაზარმებში; ამაში ხედავენ ძველი რეჟიმის აღდგენას, ეს იწვევს აფიცრებისადმი უნდობლობას და როცა ამ დისციპლინის მოთხოვას მთავრობის მოთხოვნით ასაბუთებენ, ბევრი ჯარისკაცი თურმე ამბობს: მართალი ყოფილან ბოლშევიკები, როცა იძახიან—თქვენი მთავრობა კონტრ-რევოლიუციონურია, ძველი რეჟიმის აღდგენას ცდილობსო და სხვა. თქვენი წერილი ნათლად მოწმობს თუ როგორ „გიკლავთ გულს" თქვენ ყოველივე ეს. დამერწმუნეთ—თუ ასეა, ეს „გულს მოუკლავს" არა მარტო თქვენ, არამედ ყველა ჭეშმარიტ რევოლიუციონერს და დემოკრატს.

დისციპლინის მოთხოვა კონტრ-რევოლიუციონერობა კი არ არის, პირ იქით, ნამდვილი შეგნებული რევოლიუციონერობაა და ყველა ის, ვინც ამას კონტრ-რევოლიუციონერობათ ნათლავს, დაუძინებელი მტერია თქვენი და ჩვენი, რადგან მას უნდა ჯარის დარღვევა, დამარცხება; ჩვენი რესპუბლიკის უდარაჯოთ დატოვება, რომ ასე საშვალება მიეცეთ თავისუფლათ იპარპაშონ და თავის ბნელი საქმეები დაუსჯელათ აკეთონ.

რა არის დისციპლინა? არის თუ არა ის საჭირო? რომ ნათელი და სრული წარმოდგენა ვიქონიოთ ამაზე, საჭიროა ცოტა შორიდან დავიწყოთ.

რუსეთის ცხოვრებას თავს აწვა მეფის თვითმპყრობელობა და მთელი საუკუნოების განმავლობაში დაუზოგველათ სისხლს სწოვდა. ვეებერთელა ქვეყანა სასაკლაოთ იქცა, სადაც განუკითხავათ ასამარებდნენ ყოველგვარ თავისუფლებას და ხალხის ინტერესები მსხვერპლათ ეწირებოდა მემამულეთა და ჩინოვნიკთა კეთილ დღეობას.

ყველაფერს საზღვარი აქვს და ამ უსაზღვრო ძალადობასაც საზღვარი უნდა ქონოდა. ასეც მოხდა. დიდი ხნის შეუპოვარი და თავდადებული ბრძოლის შემდეგ მუშათა კლასმა და რევოლიუციონურმა ჯარმა გაიმარჯვეს, მეფის ტახტი დაამხვეს და თავისუფლების დროშა აფრიალეს. გუშინდელი მონები, რომლებიც ჯოხს, მათრახს და ხიშტს ემორჩილებოდენ—თავისუფალ მოქალაქეთ გახდენ და ეღირსათ უდიდესი ბედნიერება—თვით აეგოთ ახალი და თავისუფალი ქვეყანა. ჩვენ ახლა არამც თუ ვსარგებლობთ ყველა თავისუფლებით, ჩვენ კიდევ დაგვეკისრა სახელმწიფოს აშენება.

ჩვენ გვაქვს ყოველივე უფლება. მარა ეს უფლება გვაკისრებს უდიდეს მოვალეობასაც. მონათ ყოფნა ადვილია, მარა თავისუფალ მოქალაქეთ, რომელიც ღირსია ამ სახელის, შეუძლია იყოს მხოლოდ ის, ვინც ღირსეულათ სარგებლობს თავისუფლების სიკეთით, და მზათაა დაიცვას ხალხის თავისუფლება უკანასკნელ სისხლის წვეთამდე.

თავისუფლებით სარგებლობა ყველას ერთნაირად როდი ესმის. ჩვენში, სამწუხაროთ, ზოგმა თავისუფლება ასე გაიგო: „ახლა რაც მინდა იმას ვიზამო". მარა, თუ ყველა „იზამს იმას, რაც უნდა"—ასეთ „თავისუფლებას" შედეგათ მოჰყვება ძველზე უარესი ძალმომრეობა, გაიმარჯვებს ძლიერი და სუსტი ისევ და ისევ დაიჩაგრება. ასე გაგებული თავისუფლება ღუპავს თავისუფლებას, ფეხ ქვეშ თელავს ხალხის უფლებას და აბატონებს მჩაგვრელებს.

თავისუფლება მოპოვებულია ყველასათვის, მთელი ხალხისათვის. ამიტომ თვითეული ჩვენთაგანი მხოლოდ მაშინ არის ღირსეული მოქალაქე, როცა ის ისე სარგებლობს თავისუფლებით, რომ ხელს არ უშლის მეორის თავისუფლებას. საფრანგეთის რევოლიუციონერებმა, რომლებმაც უდიდესი რევოლიუცია მოახდინეს ასე განმარტეს თავისუფლება: „თავისუფლება ერთის თავდება იქ, სადაც იწყება თავისუფლება მეორესი".

ეს კი ნიშნავს იმას, რომ ყველა მოქალაქეს შეუძლია მოიქცეს ისე, როგორც მას უნდა, მარა სხვა კი არ უნდა შეავიწროვოს. როგორც კი მისი მოქმედება გადააშორდება პირადი თავისუფლების საზღვარს, შეავიწროვებს და შეზღუდავს სხვის თავისუფლებას—მაშინ მისი „თავისუფლება" იქცევა ძალადობათ, ძალმომრეობათ. ასეთი თავისუფლება უთუოთ უნდა შეიზღუდოს, უნდა „გათავდეს იქ, სადაც იწყება მეორის თავისუფლება".

თავისუფლების საზღვრებს კი აწესებს კანონი, კანონი, რომელიც იცავს მთელი ხალხის თავისუფლებას და რესპუბლიკანურ წეს რიგს; კანონი, რომელიც შექმნილია თვით ხალხის მიერ.

მხოლოდ ის შეიძლება ჩაითვალოს თავისუფალი ქვეყნის მოქალაქეთ, ვინც თავისი შოქმედებით ამაგრებს რევოლიუციონურ წეს-რიგს. ვინც არღვევს ამ წეს-რიგს, ვინც იწვევს და ქადაგებს ძალადობას—ის მტერია რევოლიუციის და თავისუფლების, ის კონტრ-რევოლიუციონერია.

უწესრიგოთ თავისუფლება შეუძლებელია. მით უფრო საჭიროა ის ჯარში.

ჯარს უნდა განსაკუთრებული წეს-რიგი. ეს განსაკუთრებული წეს-რიგია დისციპლინა, რომელსაც თურმე ასე მტრულათ უყურებს, თქვენი გადმოცემით, ჯარის კაცთა ნაწილი.

ძველი დისციპლინა, რასაკვირველია, უვარგისია. ძველი დისციპლინა სალდათს უგრძნობ-მანქანათ ხდიდა, ის უხეში დარღვევა იყო ჯარის კაცის თავისუფლების. ეხლანდელი დისციპლინა ითხოვს წეს რიგს ვარჯიშობის და ბრძოლის დროს და ეს არამც თუ ეწინააღმდეგება თავისუფლებას, პირიქით, იცავს და დარაჯობს მას. უმისოთ თავისუფლება საფრთხეშია, ძველი დისციპლინა ეყრდნობოდა ბრმა ბრძანებაზე, რომელიც იცავს—მეფეს და დანარჩენ ხალხის მტრებს. ახალი დისციპლინა ეყრდნობა ჯარის კაცის შეგნებაზე. მან უნდა შეიგნოს, რომ ის დარაჯობს თავისუფლებას და ხალხს და მხოლოთ ამისთვის სწირავს თავის სიცოცხლეს.

ჩვენი ჯარი იცავს სამშობლოს, თავისუფლებას ის იბრძვის სახალხო საქმისთვის. მისი მიზანია დაცვა რევოლიუციის, დაცვა თავისუფალი ქვეყნის, დაცვა ხალხის სახლ კარის. ამიტომ, ყოველივე ის, რაც ასუსტებს მას და ხელს უწყობს მის დამარცხებას—ასუსტებს და ამარცხებს თვით თავისუფლებას. ჯარი უდისციპლინოთ ყველაფერია რაც გინდათ, მარა არა მებრძოლი ძალა, ის ვერავითარ სამხედრო ოპერაციას ვერ ჩაატარებს გამარჯვებით. ამის მაგალითი ბევრია წინანდელი ჯარის ცხოვრებაში. ჯარი მხოლოდ მაშინ შეიძლება რევოლიუციის და თავისუფლების ერთგული დარაჯი იყოს, როცა ის მტკიცეა თავის შეგნებით, ესმის ის მიზნები, რომელიც მან უნდა განახორციელოს და ძლიერია დისციპლინით:

ჯარში—ბრძანება და ბრძანების დამორჩილება—ეს ერთნაირი მოვალეობის ასრულებაა ქვეყნის და თავისუფლების წინაშე. როცა უფროსი ბრძანებას იძლევა, ის კი არ ძალადობს ჯარის კაცებზე, არამედ მიყავს ის ქვეყნის და თავისუფლების დასაცავათ. ის ასრულებს მოქალაქის მოვალეობას როცა ჯარის კაცი ასეთ ბრძანებას ემორჩილება—ისიც ასრულებს მოქ[illegible]ს მოვალეობას. უფროსიც და ჯარის კაციც აქ გაერთიანებული უნდა იყოს იმ შეგნებით, რომ მათ ავალებს ყოველივე ამას ქვეყნის ინტერესები. ამიტომ უფროსის ბრძანებას ჯარის კაცი უთუოდ უნდა ემორჩილებოდეს. აუსრულებლობა ბრძანების—ნიშნავს არა მარტო ბრძოლის წაგებას, არამედ თვით ჯარის კაცების უადგილო და ზედმეტ მსხვერპლს.

დისციპლინა საჭიროა არა მარტო სამხედრო ოპერაციების დროს, არამედ ჯარის შინაურ ცხოვრებაშიაც. სახელმწიფოებრივი აუცილებლობა იწვევს ათასეული ხალხის ერთად ყაზარმაში თავის მოყრას. აქ საჭიროა რკინის დისციპლინა, რომ ერთმა მეორე არ დასჩაგროს, არ დაარღვიოს საერთო საქმისთვის მზადება და მუშაობა. რევოლიუციონურ ჯარს რკინის წესრიგი უნდა. ასეთი წესრიგი არის რევოლიუციონური დისციპლინა. ამას უნდა ემორჩილებოდეს, როგორც ჯარისკაცი, ისე მათი უფროსები. როცა თვითმპყრობელობას რევოლიუციონური პარტია ებრძოდა, მას შიგნით, პარტიაში რკინის დისციპლინა ჰქონდა. ეს რომ არ ყოფილიყო, ვერც გაიმარჯვებდენ. ცხადია, ვინც უარყოფს დისციპლინას, ვინც დემაგოგობს ამის გარშემო, მას უნდა დაარღვიოს ჯარი, დაასუსტოს, დაამარცხოს ბრძოლის ველზე და მასთან ერთად დაღუპოს თავისუფლებაც. ამის ნება კი არ უნდა მისცეს მათ შეგნებულმა ჯარისკაცებმა.

თვით ბოლშევიკებმა სასტიკზე უსასტიკესი დისციპლინა შემოიღეს თავის წითელ არმიაში და ამის წყალობაა, რომ დღემდის მტერს იგერიებს. იქ დისციპლინის დარღვევისთვის ხვრეტენ კიდეც. ჩვენში კი ამას ადგილი არ აქვს.

დიდ გაჭირვებაშია ჩვენი ჯარი; მრავალ ტანჯვას იტანს ის, მარა ბედნიერია იმით, რომ მას წილად ხვდა დაამთავროს ის დიადი საქმე, რომელსაც ამდენი საუკეთესო მსხვერპლი შეეწირა.

ამ საშინელ განსაცდელის დროს, რომელშიდაც ჩავარდა ჩვენი ქვეყანა და ჩვენი თავისუფლება, საჭიროა მთელი ჩვენი ძალების ფეხზე დაყენება, რომ ქვეყანა გადავარჩინოთ. ამ ძალებში კი პირველი ადგილი უჭირავს მრისხანე და მტკიცე დისციპლინით გამაგრებულ ჯარს. მხოლოდ, ასეთ ჯარს შეუძლია იამაყოს თავის მოვალეობის შეგნება-ასრულებით და ვინც ამის წინააღმდეგია, ის მტერია ქვეყნისაც და თავისუფლებისაც. თუ შეგნებულათ ხდება ეს—უნდა ვებრძოლოთ, თუ შეუგნებლათ—თქვენი ვალია აუხსნათ, განუმარტოთ და შეაგნებინოთ განი.

P. S. კულტურული კომისია არსებობს სამხედრო სამინისტროსთან. თქვენ თხოვნას გადავცემ. გ.

საქართველოს გარშემო

საბერძნეთის გაზეთი საქართვ. შესახებ.

გაზეთ „ელევთეროს ტიპოს"-ის 14 აგვისტოს ნომერში მოთავსებულია პუბლიცისტის ა კავაფაკის წერილი—„კოლხიდა". თავში გაზეთი აღნიშნავს, თუ ძველის ძველად საბერძნეთსა და კოლხიდას შორის რაგვარი კავშირი იყო და შემდეგ სწერს:

„ამგვარად ახალგაზრდა რესპუბლიკა არ არის ჩვენთვის უცხო. როგორც ძველი გადმოცემებით, ისე უკანასკნელი ხნის ისტორიით. და ჩვენი დამოკიდებულება მასთან არ განისაზღვრება. მხოლოდ ძველი გადმოცემებით საქართველოს საზღვრავს შავი ზღვა—რომელიც გაგრძელებაა ეგეის ზღვისა. საქართველოს ფარგლებში მრავლად არის ელინთა ახალშენები, რომელთაც არ დავიწყებიათ თავიანთი გადმოცემები. ელემენტარული მოთხოვნილებანი გვაკარნახებენ ჩვენ, დავიჭიროთ მეგობრული კავშირი საქართველოს ხალხთან. არა ერთხელ დაგვიწერია იმის შესახებ, რომ ჩვენ ხელთ ავიღეთ ჩვენი წინაპრების ეკონომიურ და პოლიტიკურ ძალისაგან. ჩვენ გვეშინოდა, რომ პატარა საბერძნეთი ვერ შესძლებს გაშალოს თავის ძალები ფართო მასშტაბით. დროთ დავიჭიროთ მჭიდრო კავშირი ახლა დაარსებულ სახელმწიფოებთან, რომლებიც მოდიან ჩვენთან და სრულიად არ მოქმედობენ ქვენა გრძნობებით. ჩვენ ვი[illegible] კარგათ, რომ ეს სახელმწიფოები ჯერ არ უცვნიათ ჩვენ მეგობრულ და მოკავშირეთა სახელმწიფოებს. სწორეთ ამიტომ ჩვენ საქმეს უნდა მოვკიდოთ ხელი, უნდა ვიმუშაოთ ამ ქვეყნების დამოუკიდებლობის აღიარების სასარგებლოთ, რადგანაც წინათვე ვიცით, რომ ეს სახელმწიფოები ადრე თუ გვიან ცნობილი იქნებიან, როგორც დამოუკიდებელნი. ანტანტამ რუსეთის საქმეებში დიდი შეცდომები ჩაიდინა. ჩვენ ამის შესახებ არა ერთხელ დაგვიწერია.

ჩვენ წინდაწინ ვლაპარაკობდით, რომ მათი პოლიტიკას ტრაგიკული შედეგები მოჰყვებოდა. ჩვენი წინასწარმეტყველება ასრულდა, მაგრამ ეს შეცდომები კვლავ გრძელდება. ერთი მთავარ შეცდომათაგანია—მოსკოვის იმპერიალიზმის მისწრაფება „სხვადასხვა სახელმწიფოებისაგან" შექმნას ბუმბერაზი რუსეთი, რომ [illegible] წინეთ ყოველგვარი ადამ[illegible]ური უფლებების უარყოფის ემბლემა იყო. რა აზრი აქვს ევროპისათვის ასეთი ბუმბერაზის შექმნას? ეს აღორძინება შეუძლებელი ნება, თუ ისეთი დიდი ერები, როგორიც არიან: ესტონელები, ფინლენდელები, უკრაინელები, ქართველები, წინააღმდეგი ქნებიან ამ „აღორძინებისა". მათ უკვე აქვთ ეროვნული თვითშეგნება [illegible] არ მოისურვებენ ისევ რუსული [illegible]რიალიზმის უღელში გაბმას. ანტანტის ინტერესები მოითხოვდენ ყველა იმ ახლათ აღმოცენებულ სახელმწიფოთა ცნობას, რომელნიც გაჭიმულია ფინლიანდიიდან კავკასიის ნაპირამდე. [illegible] საჭირო იყო ამ სახელმწიფოთა ფედერაციის შექმნა, რომელიც დღეს ბოლშევიზმის წინააღმდეგ იქნებოდა მიმართული, ხვალ კი გერმანიის?

ანტანტა არ მიისწრაფოდა ამ პროგრამის განხორციელებისაკენ. მას ე[illegible]მება—რაღაც განუხორციელებელი [illegible] სახიფათო: მკვდართა აღსდგომა. განა შეიძლება დამორჩილება და დაქვემდებარება უკრაინისა, რომელსაც შეუძლია საკუთარი სახელმწიფოებრივი ცხოვრებით იცხოვროს და რომელსაც ასეთი განვითარებული ეროვნული თვით შეგნება აქვს?..

განა შეიძლება რუსეთს დაუქვემდებაროთ ის საქართველო, რომელიც ეზიზღება პეტროგრადი, ის პეტროგრადი, რომელმაც მოტყუილებით—უარი სთქვა თავის ოფიციალურ დაპირებებზე და ქართველის უკანასკნელ [illegible] ნარჩენ [illegible] ტახტი მეფის სასარგებლოდ? ამ [illegible] ქალაქმა სასტიკი ოპერაციის საშუალებით წაართვა გვირგვინი უკანასკნელ საქართველოს დედოფალს.

საბერძნეთმა უნდა მიუთითოს თავის დიდ მოკავშირეებს იმ გარკვეულ ხიფათის საფრთხეზე, რომელსაც ისინი ვერ ხედავენ, ეს საფრთხე ყველაზე უფრო ახლო ეხება საბერძნეთს. ჩვენ დაგვავიწყებია უკანასკნელი განცხადებები თავადი ლვოვის, საზონოვის და გენ. დრაგომიროვის სტამბოლის შესახებ.

ძველი ბუმბერაზი რუსეთის აღდგენა დიდ მუქარას წარმოადგენს საბერძნეთის წინააღმდეგ და ნიშნავს შავი ზღვის რუსიფიკაციას.

ნუ დაივიწყებთ, რომ ბუმბერაზი რუსეთი გუშინდლამდე სულ აყენებდა თავის მოთხოვნილებებს სინოპამდე, თუმცა ამ ზღვის უმეტესი ნაწილი ბერძნებისაა. ეს საფრთხე თუმცა შორეულია, მაგრამ მაინც უნდა ავიცილოთ. ერთად ერთი საშუალებაა—ცნობა იმ სახელმწიფოებისა, რომელნიც რუსეთს გამოეყვნენ და ჩვენგან მოითხოვენ დახმარებას თავიანთი ახალი და ძნელი სახელმწიფოებრივი ცხოვრების მოწესრიგებაში".

უკანასკნელი ცნობები

დაღესტანში.

ღიმლაგარში და კასუმკენდში აჯანყებულმა დაღესტნელებმა ამოხოცეს 1000 ყაზახი, წაართვეს 13 ზარბაზანი, [illegible]

დღეს

კალიფორნიაში და ჩრდილოეთ ამერიკის სხვა შტატებში დაიწყო ნავთსადგურის მუშების ახალი გაფიცვები.

გერმანიაში დიუსელდორფში სპარტაკელები ახალ გამოსვლებისათვის ემზადებიან.

გერმანიის რკინის ჩამომსხმელ 14 ქარხანაში მუშების გაფიცვები გძელდება.

ლორენში ისევ მოხდა არეულობა.

მეცში და მის მიდამოებში საალყო წესები გამოცხადდა.

პრაღაში დიდი უწესოება მოხდა.

ფრანგული გაზეთი „ტან“ ბეჭდავს იაპონია-გერმანიას შორის 1918 წ. შემოდგომაზე დადებულ ხელშეკრულების ტექსტს; გერმანული პრესა აღნიშნავს, რომ ეს გაუგონარი სიყალბეა: ომის დროს იაპონიას არც ერთხელ არ უღალატია მოკავშირეთა ლოიალობისთვისო.

უკვე აღდგენილია ომამდე არსებული გეოგრაფიული საზღვრები ბელგიისა.

ბელგიის მოთხოვნილებათ დიდი სახელმწიფოები და განსაკუთრებით ამერიკა ნაკლებად უჭერენ მხარს.

უკრაინის საბჭოთა რესპუბლიკის თავდაცვის საბჭომ პეტლიურას ჯარს მიმართა მოწოდებით, შეუერთდენ კომუნისტებს მოხალისეებთან ბრძოლაში.

ბოლშევიკებმა აიღეს ვოლინის ნოვგოროდი (ჟიტომირის ჩრდილოეთით) და კიევიდან 40 ვერსის მანძილზე მდებარე დაბა ბოროდიანკა.

ბოლშევიკების ჯარი დონის მარჯვენა ნაპირზე გადავიდა და ბრძოლით აიღო სადგ. კრემენსკაია.

ცარიცინის რაიონში ბოლშევიკებმა აიღეს სადგ. კოტლუბანი.

კურსკის რაიონში მოხალისეთა ჯარმა აიღო ქ. შიგრი.

ბოლშევიკური ჯარი მოკლე გზით გაემართა კიევისკენ.

ბოლშევიკთა ვოლგის ჯგუფმა განაახლა ძლიერი შეტევა ცარიცინის მიმართულებით.

აჯანყებულმა მთიელებმა აიღეს დარუბანდი (დერბენტი) და პეტროვსკისაკენ მიიწევენ.

ადერბეიჯანის პარლამენტმა ნ.-ბ. უსუბეკოვს მიანდო ახალი კაბინეტის შედგენა.

ძალი თოფი, იარაღი და 27 ტყვიისმფრქვეველი. კასუმკენდში მოჰკლეს 105 ყაზახი, ოლქის უფროსი შახშიბეგოვი, ორი პოლკოვნიკი ალალარა და სულთანოვი, ტყვედ წამოიყვანეს 60 კაცი. ხელთ იგდეს 8 ტყვიის მფრქვეველი, 200 თოფი და დიდი ძალი ტყვია წამალი. დაღესტნელები ორ ნაწილად გაიყვნენ. ერთი რაზმი თემირხანშურისაკენ წავიდა, მეორე კი დერბენტისაკენ. 21 სექტემბერს დერბენტი (დარუბანდი) უკვე აღებულ იქნა. მოხალისეების რაზმები გემებზე მოთავსდნენ და იქიდან უშენენ ყუმბარებს ქალაქს. მთიელთა მდგომარეობა კარგია. მათი რაზმები წინ მიიწევენ პეტროვსკისაკენ, ნაწილი მოხალისეთა გარნიზონისა მთიელებს მიემხრო. მოხალისეებმა პეტროვსკში ადგილობრივ მცხოვრებთა მობილიზაცია გამოაცხადეს, გაჰყავთ 48 წლამდე.

აჯანყება ჩეჩენეთში.

ჩეჩენეთში კვლავ იფეთქა აჯანყებამ, რომელიც უფრო ორგანიზაციულად არის მოწყობილი.

ბრძოლა გროზნასთან.

17 სექტემბერს ცხარე ბრძოლა სწარმოებდა გროზნასთან: დაღესტნელთა რაზმები მიუახლოვდნენ ქალაქს 12 ვერსის მანძილზე. მათ წინ შეეჩება ყუბანის ყაზახთა დივიზია. ცხარე ბრძოლის შემდეგ დაღესტნელები იძულებული იყვნენ დაეხიათ.

მოხალისეთა მოწოდება.

დაღესტანში გავრცელდა მოხალისეთა მოწოდება. ისინი მოუწოდებენ აჯანყებულებს ხელი აიღონ ბრძოლაზე. ჰპირდებიან, რომ ყაზახებს და მთიელებს შორის მიწებს თანაბრად გაჰყოფენ.

ახალი კაბინეტი ადერბეიჯანში

19 სექტემბერს მოხდა თათბირი პარლამენტის ყველა ფრაქციების წარმომადგენლებისა. მუსავატელებმა წარადგინეს ახალი პლატფორმა, რომელიც თითქმის არაფრით განსხვავდება იმ დეკლარაციისაგან, რომელიც წაკითხულ იქნა უსუბეკოვის მიერ 5 თვის წინად. ახალი პლატფორმა მიღებულ იქნა ყველას მიერ, გარდა სოციალისტებისა. უთანხმოება სოციალისტებსა და სხვა პარტ. შორის მოხდა მრავალ მნიშვნელოვან საკითხებში. სოციალისტები სხვათა შორის, მოითხოვდნენ აგრარულ კითხვის დაუყოვნებლივ გადაწყვეტას. ამ ჟამად მოლაპარაკება სწარმოებს ფრაქციათა შორის, რომელშიაც მონაწილეობას არ იღებენ სოციალისტები. ახალი მთავრობის თავმჯდომარედ ასახელებენ ისევ უსუბეკოვს. შინაგან საქმეთა მინისტრად ასახელებენ ხ. სულთანოვს.

ადერბეიჯანის პარლამენტის თავმჯდომარემ წერილი გაუგზავნა უსუბეკოვს, რომელსაც სთხოვს შეადგინოს ახალი კაბინეტი.

დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

24 სექტემბერი.

ბოლშევიკური ცნობები.

მოსკოვი. სექტემბრის 23. (დასაწყისი არ არის მიღებული).. ჩვენი ჯარი ბობრუისკის ჩრდილო-აღმოსავლეთით იდგა 15 ვერსზე. ჩვენ ავიღეთ ვოლინის ნოვგოროდი. ჟიტომირთან წამოვიყვანეთ ტყვეები და ხელთ ვიგდეთ ზარბაზნები და ტყვიის-მფრქვეველები. ჩვენმა ჯარმა აიღო კიევიდან 40 ვერსის მანძილზე მდებარე დაბა ბოროდიანკა. ნეჟინიდან 7 ვერსის სიშორეზე ბრძოლით ავიღეთ რამდენიმე სოფელი. სად. ვერესოჩზე მტრის ჯავშნიანი მატარებელი ხელთ ვიგდეთ ბახმაჩის ჩრდილო-დასავლეთით ხელთ ვიგდეთ მტრის ჯავშნიანი მატარებელი ზარბაზნებით და ტყვიისმფრქვეველებით. კურსკის რაიონში ქ. შჩიგრი დავსტოვეთ. ქვედა ხოპერზე ჩვენი შეტევა გრძელდება. ჩვენი ჯარი დონის მარჯვენა ნაპირზე გადავიდა და ბრძოლით აიღო სადგურები: კრემენსკაია. ცარიცინის რაიონში ჩვენმა ჯარმა მედგარი ბრძოლის შემდეგ დაიპყრო სადგ. კოტლუბანი და რამდენიმე სხვა პუნქტი მის ახლო-მახლო. ყიზლიარისკენ მიხაილოვსკის სამხრეთით ბრძოლით წინ წავიწიეთ. კიევის და ცარიცინის რაიონებში, კურსკის ორივე მხარეზე, უფრო მეტის სიძლიერით განვაახლეთ შეტევა. წითელი ჯარი ჟიტომირზე მოკლე გზით გაემართა კიევისკენ. მეორეს მხრით ვოლგის ჯგუფმა განაახლა ძლიერი შეტევა ცარიცინისკენ. თუ დნეპრის და ვოლგის მიმართულებით ჩვენი შეტევა ბოლომდე მივიყვანეთ, სამხრეთის ფრონტზე სრულიად გავანადგურებთ დენიკინს.

მოსკოვი, ენკ. 23. კალიფორნიაში და ჩრდილოეთ ამერიკის სხვა შტატებში დაიწყო ნავთსადგურის მუშების ახალი გაფიცვები. გერმანიაში, დიუსელდორფში სპარტაკელები ახალი გამოსვლებისთვის ემზადებიან. გერმანიის მთავრობა ახალი რევოლიუციონური მოძრაობის დაწყებით ძლიერ აღშფოთებულია რკინის ჩამომსხმელ 14 ქარხანაში მუშების გაფიცვები გრძელდება. ლორენში ისევ მოხდა არეულობა. მეტცში და მის მიდამოებში საალყო წესები გამოცხადდა. საფრანგეთის მთავრობა უქმად სცდილობს ხალხის დამშვიდებას. ციმბირში მყოფ 65000 ჩეხო სლოვაკის წამოყვანის ხარჯს ინგლისის, საფრანგეთის და ამერიკის მთავრობა ერთმანეთს შორის იყოფენ. უკანასკნელ დროში ჩეხო სლოვაკები არ იბრძოდენ, მხოლოდ იცავდენ რკინის გზას, მაგრამ ეხლა, როდესაც ციმბირში წითელი ჯარი შევიდა, ჩეხო სლოვაკები კოლჩაკისაგან დაჟინებით მოითხოვენ, რომ შინ იქმნენ გაგზავნილი. ჩეხო სლოვაკები ამერიკით მიყავთ. ციმბირიდან მოსული ცნობებით, ტომსკი ლუბკოვის რაზმის წითელმა ციმბირელებმა აიღეს.

ომსკის ბურჟუაზიაში პანიკაა. სად. ტაიშეტთან ბოლშევიკების 300 კაცი გამოჩნდა. ბურჟუაზია აღმოსავლეთისაკენ გარბის. უკრაინის საბჭოთა რესპუბლიკის თავდაცვის საბჭომ პეტლიურას ჯარს შემდეგის მოწოდებით მიმართა: „კიევის დაჭერის შემდეგ, პეტლიურას არმიის ჯარისკაცებო თქვენ დარწმუნდებოდით, რომ სისხლი დაღვარეთ მეფის გენერლების ზეიმისთვის და გამარჯვებისთვის უკრაინაში ზეიმობს მეფის გენერალი, მემამულე და მექარხნე. თქვენი მოხუცი მშობლების ზურგზე მათრახები გაბატონდა. თქვენ ცოლებზე და დებზე გამხეცებული ყაზახები ძალ-დატანებას ხმარობენ. უკრაინის სოფლები და ქალაქები სავსეა დახვრეტილთა გვამებით. თქვენ გესმით ეხლა, რომ ბურჟუაზიული ძალა-უფლება წარმოადგენს საშინელებას და მუშათა და გლეხთა სიკვდილს და რომ ერთად ერთი ძალა-უფლება, რომელსაც შეუძლია ბედნიერება მოუტანოს ხალხს, ეს უკრაინის საბჭოთა რესპუბლიკის მთავრობაა. ძირს მემამულეები, ფაბრიკანტები და მექარხნეები! ძირს პეტლიურა და დენიკინი! ჩაერთეთ წითელ ჯარში და იბრძოლეთ თქვენი ინტერესებისთვის!.

ორენბურგში № ის არმიამ ორენბურგის პროლეტარიატთან. ერთად წითელ თურქესტანთან შეერთება იდღესასწაულა. ჯარის პარადი ს. რ. ც. ა. კომიტეტის თავმჯდომარე კალინინმა მიიღო კალინინის მონაწილეობით შესდგა ორენბურგის, ბაშკირიის და ყირგიზის რევოლიუციონურ ორგანიზაციების და ჯარის წარმომადგენლების საზეიმო სხდომა.

კოპენჰაგენი. ენკ. 23. ინგლისში ახალი წესი შემოიღეს ინგლისიდან წამოსასვლელად, იქ საცხოვრებლად და ინგლისზე გზით გავლის შესახებ. ამ წესრიგის თანახმად უცხოელები პირველად სარეგისტრაციოდ პოლიციაში გამოცხადდებიან (ბავშვების გარდა) მოგზაურები გადმოვლენ მხოლოდ განსაზღვრულ ნავთსადგურებში განსაკუთრებულ ოფიცრის ნებართვის შემდეგ.

კოპენჰაგენი. ენკ. 18. მიულჰაუზენსა, ქვედა ელზაში და სტრასბურგში პროტესტი გამოაქვთ მთავრობისთვის არასასურველ ელემენტების გაძევების გამო. პრაგაში დიდი უწესოება მოხდა. ნაციონალ-დემოკრატები გადატრიალებას აწყობენ, ტრუსარის მთავრობის ჩამოსაგდებათ და აპირებენ ზენეშ კრამარჟის დიქტატურა დაამყარონ.

ნაუენი. ენკ. 23. ქვა ნახშირის შიმშილი გერმანიაში ძლიერდება, რის გამოც რკინის გზის მოძრაობას კიდევ უფრო ამცირებენ. ირკვევა, რომ საჭირო მოძრაობის სრულიად შეჩერება.

მოსკოვი ენკ. 23. მოსკოვის მუშაქალების უპარტიო კონფერენციაზე სვიდერსკი გამოვიდა მოხსენებით: „სასურსათო საკითხი და მუშა-ქალები“. შემდეგ ლენინმა ილაპარაკა ქალის პოლიტიკაში ჩარევის შესახებ, რომელიც აუცილებელია თავიდან დაიწყონ და სრულიად სახალხოთ გადააქციონ მშრომელთა უფლება. ქალ. შრომის ფართე ადგილს აძლევენ. ჩვენ მძიმე ბრძოლის დროს მუშა ქალის დახმარება, არა მარტო პარტიულის, არამედ უპარტიოსიც ჩვენთვის ძვირფასი და აუცილებელია. აღნიშნა რა ორგანიზაციული მუშაობა წითელ არმიაში აგიტაციის, სასურსათო კანტროლის, წვრილი მეურნეობის გაუმჯობესების და სურსათის განაწილებისთვის, ლენინმა სთქვა, რომ ყველა ეს მუშაობა უპარტიო ქალებსაც შეუძლიათო. ჩვენ ვსაჭიროებთ, დაასრულა ლენინმა სიტყვა, რომ მილიონი ქალი მოვიდეს დასახმარებლათ. მაშინ ჩვენ დარწმუნებული ვიქნებით, რომ საბჭოთა რუსეთს მტერი არ ეყოლება და თუ ეყოლება, არც საშინელი იქნება. ლუნაჩარსკიმ მოხსენებაში „რელიგია და კომუნიზმი“—აღნიშნა რომ ჭეშმარიტათ რწმენა საჭიროა.

ფრანგული პრესის ცნობები.

პოლიტიკური საზღვრები რუსეთისა და ბალტიის პროვინციების შორის შემუშავებულ უნდა იქნეს ეტნოგრაფიულ საფუძველზე; ასევე უნდა დამყარდეს ნეიტრალური ზონა, სადაც საბჭოთა რუსეთმა ჯარი არ უნდა იყოლიოს. ეს ზონა ნეიტრალურ სახელმწიფოს უნდა გადაეცეს. ბერლინის გაზეთები ამ პირობათა შესახებ აცხადებენ, რომ ამ პირობების მიხედვით შეიძლება ითქვას, თუ რომელ ნეიტრალურ სახელმწიფოზეა ლაპარაკი. ეს მხარს უჭერს იმ მის წრეებს, რომელიც შექმნის მტკიცე კედელს რუსეთსა და გერმანიის შორის, რაც უმთავრესად აწყნარებს საფრანგეთს და აძლიერებს და ამდიდრებს „ძველ“ გაბედულ ინგლისს.

„ტან“ი ბეჭდავს იაპონია - გერმანიის შორის ვითომ 1918 წ. შემოდგომაზე დადებულ ხელშეკრულების ტექსტს. ეს გაუგონარი სიყალბეა. ომის განმავლობაში იაპონიას არც ერთხელ არ უღალატნია თავის მოვალეობისთვის და მოკავშირეებისადმი ლოიალობისთვის.

დაპყრობილ ოლქებში ოქტომბრის 12 სთვის დანიშნული საქალაქო არჩევნები, საფრანგეთის საოკუპაციო ადმინისტრაციის ბრძანებით, უნდა გადაიდოს.

შვეიცარიის პრეზიდენტი მომავალ არჩევნებზე არ წამოაყენებს თავის კა
დიდატურას.

ბრესლავიდან იტყობინებიან: [illegible] ბრ
დებიან გაქცეული მუშები, რომლებ
მუშაობაზე ისევ [illegible]. გაქცეული ი
სულ 3000 [illegible]
[illegible]

[illegible]
მოკავშირეთა ქვეყნებში გადაჭრით
ჰკიცხავენ გერმანიის პოლიტიკას. ეს
ერთი აზრი იქ ასეთია: ომის დაწყე
ბრალი ავსტრია უნგრეთის გრაფ
სას ედება, გრაფი ბერჰტოლდი და
პერატორი ფრანც იოსები წინააღმდ
იყვნენ ომისა. ტისსას მხარს უჭერ
გერმანია, რომელმაც ავსტრიას თავი
შეაკავებინა. გერმანიამ კარგად იც
სერბიასთვის წარგზავნილ ულტიმატ
ტექსტი და ისიც, რომ სერბია
შეასრულებდა მას. გერმანიამ უარ
სერ ედვარდ გრეის წინადადება
თავიდან ასაცილებლად და მისი
დატანებით ასევე მოიქცა ავსტრია.

ფრანგული პრესის ცნობები.

„მატენ“-ის კორესპონდენტი იუ
ბა, რომ ლეიტენანტი ლეფრაში
მონერლეი ემზადებიან მოკლე ხა
ჰიდროპლანზე სენრაფაელიდან და
ში გადაფრინდეს. სხვა ჰიდროპლა
დაკარში გადაიტანენ.

ვერსალში გერმანიის დელეგ
კონფერენციას განუცხადა, რომ
რწმუნებულება მიიღო ხელი მოაწ
იმ ხელშეკრულებას, რომელიც გ
ნიას კონსტიტუციის 61 მუხლის
აუქმებს.

ორშაბათს მეფე ალბერტი ელის
დის და პრინც ლეოპოლდის თან
ბით რომელიც ამერიკაში მიემგზავ
რსტენდედან. (ადგული ბელგიის ნ
სადგური) გემი „ჯორჯ ვაშინგტონი“
წავიდა. ეხლა ბელგიის ომამდის ყო
გეოგრაფიულ საზღვრებში აღდგენ
ხუთი წლის წინად ამავე დღის ყ
რების სროლის დროს ბელგიის მ
მალინთან ახლოს ბრძოლის ველზ
მაში იდგა და თვალ-ყურს ადევნ
გერმანელებს, რომლებიც მისი სამ
უკანასკნელ ნაჭერ მიწისთვის იბრძ
„ქვეყანა, რომელიც თავს იცავს, ა
იძლება დაიღუპოს; გქონდესთ რ
ჩვენს ბედში, ამბობდა ის, დღეს
ტვერპენი და მეფე ალბ
უსამეფოდ და გვ. ერმალმა უარ
ჰპოვა თავშესაფარი ოსტენდეს იმ
სადგურში, რომელიც მან დღეს
ტოვა. შეიძლება მოგონებამ ს
ვარ 1914 წლის ოქტომბრის
მის შესახებ გაუარა მას გ
და მან ფიქრში პარალელი გაატ
ჩუმ მწუხარე ხალხსა, რომელიც
მაშინ აცილებდა და ეხლანდელ
მით შეხვედრას ხალხისას, რომ
ეხლა მას ბედნიერ მგზავრობას უ
ვებდა. ეხლა ბელგიელები ეკით
ერთი მეორეს. „რა მოიგო ბელგ

გერმანიის რევოლუცია და წარმოების განსაზოგადოებრიობა

(წერილები გერმანიიდან).

რუსეთის სოც.-დემოკრატიის მეუმცირესეთა ფრთას სოციალიზმის პრაქტიკულად განხორციელების საკითხში ერთი რამ ახასიათებდა: მისი აზრით ჩამორჩენილი რუსეთი ვერ შეიქნებოდა სოციალიზმის დამწყები და, ასე ვთქვათ, ევროპის ტონის მიმცემი. რომელიმე პარტიის ან რევოლიუციონურ ძალის ძლიერი ნების-ყოფა კი არა, არამედ ეკონომიური აგებულება რუსეთისა—აი რა უნდა ყოფილიყო მარქსისტებისათვის უმთავრესი.

დღეს სხვადასხვა მიზეზების გამო ეს სალი იდეა თითქოს დამარცხებული და უკუ-გდებულია. რუსეთში ძველი სლავიანოფილური აზროვნება, მარქსისტულ ტერმინებით შეფერილი და ახალ პირობებს შეფარდებული, თავის გამარჯვებას ზეიმობს. მაგრამ ეს „გამარჯვება“ უფრო გვიმტკიცებს მის სიღარიბეს და უვარგისობას.

განადგურებული წარმოება, დაცარიელებული ქალაქები, მუდმივი სამოქალაქო, თავისივე ძმების წინააღმდეგაც მიმართული ომი, ანარქია, სიმშილი—აი სურათი დღევანდელ რუსეთისა.

და აი დასავლეთ ევროპის ნანატრი განახლებაც ავსტრო-უნგრეთისა და გერმანიის რევოლიუციით დაიწყო. მსოფლიო რევოლიუციის დღევანდელი ცენტრიც, როგორც მარტოვმა ერთ გერმანელ დამოუკიდებელ სოც.-დემოკრატისადმი ნიმართულ წერილში აღნიშნა, არა მოსკოვში, არამედ ბერლინში უნდა ვეძიოთ. ცხადია, საქართველოს სოც.-დემოკრატიაც, რომელიც რუსეთის მეუმცირესეების ციტადელს შეადგენდა, გერმანიის მუშათა კლასიდან მოელის გზისა და კვალის ჩვენებას.

შესძლებს თუ არა გერმანიის სოც.-დემოკრატია თავის პროგრამის განხორციელებას? რამდენათ არის სოციალიზმისათვის პირობები მზათ? ან რა გაკეთებულა ამ მხრით აქამდის? ან რას უნდა მოველოდეთ მომავალში?—აი ყველა ის საკითხები, რომელიც ყოველს ჩვენგანს აწუხებს და რომელზედაც ჩვენ პასუხის გაცემას შევეცდებით.

ეს საკითხი ჩვენთვის სხვა მხრითაც არის საინტერესო.

რუსეთში ბევრი ენერგია დაიხარჯა იმის გამოსარკვევათ, თუ რა ხასიათი ჰქონდა რევოლიუციას: ბურჟუაზიული თუ სოციალისტური. აქ, გერმანიაში, ასეთ კამათს ადგილი არა აქვს. გერმანიის რევოლიუციას ცხადია სოციალისტური ხასიათი აქვს, რითიც არ უნდა იყვეს იგი უშუალოთ გამოწვეული. გერმანიის პროლეტარიატი ხალხის უმრავლესობას, თითქმის ორ მესამედს შეადგენს. წარმოებაც სრულიად მომწიფებულია მის საზოგადოებრივათ მოსახმართად. ასე რომ რუსეთისავით ცხად იდეიურ სხვადასხვაობას აქ ნიადაგი არა აქვს.

მაგრამ აქ სხვა წინააღმდეგობა იჩენს თავს. რა გზით უნდა მოხდეს სოციალიზმის განხორციელება? დემოკრატიის საშუალებით. წარმოების მიზან-შეწონილ თანდათანობითი ორგანიზაციით, თუ უმცირესობის ბატონობით, ტერორისა და სამოქალაქო ომის გაღვივებით? საჭიროა აქ, გერმანიაშიაც, რუსული მეთოდი, თუ გერმანიის რევოლიუციას სულ სხვა მიმართულება უნდა ჰქონდეს? ეს ორი იდეა აქ „მატერიალურ ძალებათ“ არის გადაქცეული და ცხარედ იბრძვის.

საკითხი თითქო ისეა დაყენებული, როგორც სამოციან წლებში ინტერნაციონალში: მარქსი თუ ბაკუნინი, მეცნიერული სოციალიზმი თუ რუსეთის ნიადაგზე აღმოცენებული „ბუნტარული“ ანარქიზმი? დღეს კომუნიზმის აჩრდილი, როგორც 1848 წელს, მარტო ბურჟუაზიას კი არ სცემს თავზარს,—დღევანდელი კომუნიზმი, რომელიც მხოლოდ შემთხვევითი სახელია „ბოლშევიზმისა“ და შინაარსით ძალიან შორს სდგას მაშინდელ კომუნიზმიდან, შიშს იწვევს აგრეთვე შეგნებულ პროლეტარულ ნაწილში. შიშს იწვევს არა სოციალიზმის განხორციელება, არამედ „ბოლშევიკური“ მეთოდი მის განხორციელებისა.

აი ამ მხრითაც წარმოების განსაზოგადოებრივობის საკითხი დიდ მნიშვნელოვანი და საინტერესო არის რომელ გზას დაადგება გერმანიის რევოლიუცია? სოციალიზმი ოპოზიციონურ ძალიდან შემოქმედ, მაღალ ფორმების განმახორციელებელ ძალათ იწყებს გადაქცევას. უჩვეო, უცხო ადგილებია მისთვის გასაკაფი. შესძლებს თუ არა გერმანიის მუშათა კლასი მეთაურობის შენარჩუნებას და საჭირო შორსმჭვრეტელობის გამოჩენას? ამას დიდი გავლენა ექნება არა მარტო გერმანიისათვის, არამედ მსოფლიო სოციალისტურ მოძრაობისათვისაც.

ომისა და ზავის პირობების გავლენა გერმანიის წარმოებასა და მის განსაზოგადოებრიობაზე.

ჯერ კიდევ 1902 წელში აღნიშნა კ. კაუცკიმ თავის ორ პატარა, მაგრამ კლასიკურ ნაწარმოებში („სოციალური რევოლიუცია.“ „სოციალურ რევოლიუციის მეორე დღეს.“), სულ ადვილი შესაძლებელია სოციალური რევოლიუცია ევროპიულ ომს მოჰყვესო. ამასთანავე მისთვის ცხადა იყო რევოლიუციის ასეთ მომენტში ამოხეთქოს საფრთხე. ომი ეკონომიურათ აღარიბებს და აქვეითებს ქვეყანას. ბურჟუაზიულ ქვეყნის მიერ ომის დროს ჩადენილი ცოდვები შემდეგ სოციალისტურ მოძრაობას უნდა დააწვეს კისერზე. ამასთანავე ომს გამანადგურებელი ფსიქოლოგიური შედეგები მოჰყვება.

რაც 1902 წელს შესაძლებლობა იყო, დღეს მწარე სინამდვილეა. რაღა საჭიროა იმაზე ბევრი ლაპარაკი, რომ ამ ომმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ასი წლობით დაგროვებული სიმდიდრე ოთხ წელში იქნა გაფლანგული და განიავებული. თუ ეს საერთოდ ითქმის, მით უფრო დამარცხებულ გერმანიის შესახებ. რაც ომის ცეცხლს გადარჩა—გამარჯვებულ ქვეყნების ხვედრი უნდა გახდეს, ყველა მოხსენებები „განსაზოგადოებრიობის“ შესახებ (აქ უფრო პოპულიარულია სიტყვა: die sozialisierung, მაგრამ რაკი ჩვენში „სოციალიზაციას“ სხვა კერძო მნიშვნელობა ჰქონდა, ჩვენ ყველგან „განსაზოგადოებრიობას“ ვხმარობთ.) შემდეგი ჩივილით იწყება: ჩვენ საშინლათ ღარიბები ვართ, ჩვენ არაფერი არა გვაქვს და სხვ. ისტორიის საშინელი დაცინვაა, რომ სოციალიზმი, რომელიც კაცობრიობის განახლების, სიმდიდრის და კეთილდღეობის გამომხატველია, ასეთ საშინელ პირობებში ევლინება ქვეყანას.

ომის დროს გერმანიის მთელმა წარმოებამ, ისე როგორც სხვა ქვეყნებში, თავისებური სახე მიიღო. წარმოება ომის მოთხოვნილებებს იყო შეგუებული. აუარებელი მუშა ხელი ომისთვის მუშაობდა. ომის შემდეგ საჭიროა წარმოების ამგვარ ხასიათის რადიკალურათ შეცვლა. ასე რომ, მარტო ამ საქმისათვის, სოციალიზმს რომ თავი დავანებოთ, აუარებელი ენერგია უნდა დაიხარჯოს.

რევოლიუციის პირველ დღეებში კ. კაუცკიმ ჯერ კიდევ რევოლიუციამდე დაწერილი წიგნი გამოაქვეყნა: „სოც.-დემოკრატიული შენიშვნები გარდამავალი წარმოებისათვის“. ამ წიგნში აღნიშნულია მთელი რიგი საკითხებისა, რომელიც ომის შემდეგ ყოველ მთავრობას წინ უნდა დასდგომოდა, და არა მარტო მთავრობას. მრავალი საკითხები, საერთაშორისო გზით უნდა გადაჭრილიყო. წარმოების მიზან-შეწონილი ორგანიზაცია, როგორც ნაციონალურ, ისე საერთაშორისო ფარგლებში, აუცილებლათ უნდა გვეტარებინათ სხვადასხვა სახელმწიფოებს, რა ხასიათისაც არ უნდა დარჩენილიყვნენ ისინი ომის შემდეგ. რასაკვირველია, კაპიტალიზმს იგი ორგანიზაცია ძალა უნებურათ და სურვილის წინააღმდეგ უნდა შეესრულებინა, თუ მას ახალ ომების სისხლში ჩახრჩობა და თავისივე სამარის გათხრა არ უნდოდა. მაგრამ მხოლოდ სოციალიზმს და მუშათა კლასს შეეძლო მისი ორგანიზული და წესიერი გატარება, რადგან სოციალიზმი ხომ თავისთავად წარმოების ორგანიზაციაა და ამასთანავე საზოგადო და საერთაშორისო ორგანიზაცია.

აქედან ორი რამ არის ცხადი: ერთი, რომ სოციალიზმი ეკონომიური აუცილებლობა გახდა და მისი განხორციელება ამა თუ იმ სახით უსათუოა. მეორე ისა, რომ სოციალიზმის განხორციელება დაკავშირებულია მთელ რიგ საკითხებთან, რომელიც ომის წარმოების ლიკვიდაციის საჭიროებამ წამოაყენა. ასე რომ, სოციალიზმის პრაქტიკული გატარება, მარტო ეს მომენტი რომ მივიღოთ სახეში, ერთი ორად გართულებული არის. მუშათა კლასი იძულებულია არა მარტო თავისი მისია შეასრულოს და საკუთარი იდეალები განახორციელოს, არამედ ძველი ქვეყნის ცოდვებიცა ზიდოს.

ჩვენ ზევითაც აღვნიშნეთ, რომ დამარცხებულ გერმანიისათვის ეს საერთო სიძნელე გაორკეცებულ ხასიათს ღებულობს. აუარებელი ლოკომოტივები, ვაგონები, რკინეულობა და სხვა გადასცა გერმანიამ გამარჯვებულ მხარეს. ოცი მილიარდ ოქროზე ნაანგარიშევი მხოლოდ ორი წლის განმავლობაში უნდა იქმნეს გადახდილი და შემდეგ კიდევ ვინ იცის რამდენი. ერთი სიტყვით გერმანიის ხალხი აშკარა მონათ და მუშათა კლასი კი დღიურ მუშათ უნდა გაუხდეს გამარჯვებულ იმპერიალისტებს. ცხადია, სანამ ასეთი პირობები გრძელდება, სოციალიზმის საქმე შეფერხებულია და საჭირო ნაყოფსაც ვერ მოიტანს.

ასეთმა პირობების არსებობამ სოც.-დემოკრატიულ აზროვნებაშიც ცვლილებები შეიტანა და სხვა და სხვა მიმართულებები გამოიწვია.

ზოგის აზრით ასეთ დროს განსაზოგადოებრიობის დაწყება ყოვლად შეუძლებელია. ჯერ ერთი რომ დამარცხდება და მეორეთ, შინაგან ძალებითაც რომ არ დამარცხდეს, სოციალისტური წარმოება გამარჯვებულ ქვეყნების იმპერიალიზმის მოღალეთ გადაიქცევა; ასე რომ ფაქტიურად სოციალისტურ ხასიათს ისევე დაჰკარგავს. გადავდოთ სოციალიზმის განხორციელების დაწყება, რადგან ასე ღარიბები და სხვებისგან დამოკიდებულნი ვართ. ჯერ წარმოება ძველ კალაპოტში ჩადგეს, პირად ინიციატივას ფართო გზა მივცეთ და შემდეგ, როცა საქმე გამოსწორდება, სოციალიზმი დროც მოვა და მისი ცხოვრებაში გატარებაც ნაყოფს მოიტანს. ასე ამბობენ ერთნი.

მეორენი სულ სხვანაირათ უყურებენ საკითხს. რაც პირველთათვის სოც. უდროობას ამტკიცებს, ამათთვის კიდევ ერთი საბუთი ხდება მის ეხლავე
ხორციელების სასარგებლოთ. შეუ
ეხლავე სოციალისტურ წარმოების
ნებას, მით უფრო, რომ ასე ღარ
ვართ.

ასე, მაგალითად გერმანული ავსტ
განსაზოგადოებრიობის სამინის
მეთაური, ჩვენში ნაციონალურ ს
ში კარგად ცნობილი ოტტო ბა
ერთ თავის პატარა, მაგრამ შესან
წიგნაკში („გზა სოციალიზმის
ასე ანვითარებს ამ აზრს: „ჩვენ ს
ლი ღარიბები ვიქნებით. და აი
სიღარიბის დროს როგორ შევ
ჩვენს შრომის შემოსავლიდან
ბულ პრელატებს, გამაყებულ გ
ომში გამდიდრებულ თავხედ კაპი
სტებს და უსაქმო რენტიორებს
ღალა ვაძლიოთ?!. შეუძლია ასეთ
დაღარიბებულ ხალხს კიდევ აიტანო
რომ ისედაც სუსტი შემოსავალი
შრომისა ასე უსწორ-მასწოროთ
წილდეს?!.. ჩვენ ამისთვის საკმაო
რიბნი ვართ... ჩვენს მატერიალურ
პირვებაში მხოლოდ ერთად ერთი
მოსავალია: სოციალიზმი.“

ამნაირად, ხსნა სოციალიზმშია.
გზა საქმეს ვერ გამოასწორებს. რაც
ბა მას, რომ სოციალისტური რევო
ცია მარტო გერმანიაშია და მთელ ქ
ჯერ არ მოსდებია, მართალია ამ
ლოს და ბოლოს სოციალიზმი
გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს,
მის დაწყებისათვის კი ვერ იქნებ
ლის შემშლელი. თვით კაპიტალ
ინგლისშიაც ხომ აპირებენ ქვანახ
მადნების სახელმწიფოსათვის გადა
ცხადია, გერმანიაც პირველ წ
მხოლოდ ასეთ ხასიათის წარმ
განსაზოგადოებრიობას თუ მოახდე
საც დაწვრილებით ქვევით შევეხებ
კი აქ პირველი ნაბიჯები კარგათ
გადადგმული—ეს იქნება სა
აგილაცია სოციალიზმისა გამარჯ
კაპიტალისტურ ქვეყნებისათვის.
ხომ რევოლიუციონური ძალები
დათან იყრის თავს!

ასე ამნაირათ, გერმანიის განსა
ბული პირობები, შინაგან პოლი
მომენტს და მუშათა კლასის
სურვილებსაც რომ ჯერ-ჯერობი

მში“. არის ზოგიერთი უკმაყოფილე-ა... კონფერენცია ისალში: „რა მი ოლ მან სამხედრო, ფინანსიურ და ოლიტიკურ თვალსაზრისით“...

ნეიტრალიტეტი არ გამოიყო საკმაისი, რომ მას თავზე არ დასხმოდნენ ა ბელგია მოელოდა კონფერენციისაან მომავალში გარანტიას, ჰოლანდიასან და გერმანიასთან საზღვრების დაესებას. ბელგიის დელეგაცია საიდუმოს არ აკეთებს იმ ფაქტიდან, რომ ჰოლანდილი გარანტია უფრო ნაკლები აკმაყოფილებელია, ვიდრე ნეიტრალიტეტი. ბელგიას სურდა მიეღო მალმედი და ეუპენი და მიიღო ცოტა განაკლისით რკინის გზის ხაზი. გერმანია ბელგიის საზღვრის საკითხი ძვრევე ბელგიისთვის სასურველათ დარულდა. საკითხი ლიუქსემბურგის სა ჰერცოგოს შესახებ, სადაც ბელგია ლებისციტს მოითხოვდა მალე კარგად ასრულდება საფრანგეთის და ბელგიის შეთანხმებით. ბელგია ისწრაფოდა უფლება მიეღო შელდაზე თავისუფლათ ოსნობისთვის და აგრეთვე, რომ პროვინცია ლიმბურგის, რომელიც 1830 წლიდან 1839 წლამდე ბელგიას ეკუთვნოდა, თავდაცვის თვალსაზრისით რე ორგანიზაცია მომხდარიყო და არ წარმოედგინა მაშინ გაშლილ კარებს ბელგიაზე თავდასხმისათვის გარედან. რაც შეეხება ფინანსებს, ბელგიამ სამხედრო ხარჯების შემცირებას მიაღწია, მაგრამ გერმანიამ უარი უთხრა მას იმ 7 მილიარდი მარკის დაბრუნებაზე, რომელიც მან ბელგიაში დასტოვა. ბელგიამ 2 ნახევარი მილიონ ფრანკის მიღების უფლებას მიაღწია, რომელიც გერმანიიდან მიღებულად ჩაითვლება. რაც შეეხება ეკონომიურ ცხოვრებას, ბელგია მოითხოვდა შელდაზე მას უფლება ქონოდა არხები გაეყვანა, ისე რომ წინასწარ საჭირო არ ყოფილიყო ჰოლანდიის ნებართვა. ეს საკითხი უფრო საჭიროა ბელგიისთვის ეკონომიურის თვალსაზრისით, ვიდრე სამხედრო აგრეთვე სასურველია ასეთივე უპირატესობა სხვა არხზე და ნებართვა, ისარგებლოს არხებით, რომელიც რეინს და მეზას აერთებს. ბელგიის მოთხოვნილებას დიდი სიხელმწიფოები და განსაკუთრებით ამერიკა ნაკლებად უჭერენ მხარს.

რაში

განგებისგან მოვლენილო ფრთა მარმაშო ჩემო რაშო,—
გასწი, გასწი! მინდა ბრძოლა, მინდა სხივებს ვეთამაშო!
გადალახე ცათა სფერო, ზღვათა სივრცე, ჟამთ საზღვარი,
ცეცხლის სეტყვათ მიმოფანტე უკვდავების ფიქრთა ჯარი!

ცხოვრებისა დუხჭირ ველზე, ჩვენ ურიცხვი დაგკვრავს ქარი,
მაგრამ წაროვნის სტიქიონსა მიაგებე ფრთა მედგარი,
ნურცა სეტყვას, ნურც ქუხილსა, ნუ დაუთმობ ბედის ლაგამს:
ბრძოლით სცნობდე სიცოცხლისა დასაწყისსა და დასაბამს!

ვით გრიგალი ცეცხლეული ზღვიდან—ზღვაზე გადამფრენი,
საუკუნეთ მწვერვალებზე ისე იყოს ფ ენა შენი,
ქვეყნის ტანჯვით დაკოდილი დაემსკვსე ელვის სიოს,
ვერც სიკვდილმა დაგიჭიროს, ვერცა ჟამი დაგეწიოს!

წინ წინ მარად! არ მიენდო მოსვენებას, მონურ ძილსა,
ბრძოლის ჟილა გამშვენებდეს ძლევის შიკრიკს ფრთა გაშლილსა,
უკვდავებით აღბეჭდილი ყველგან აჩნდეს შენი კვალი,
რომ წამებით განვლილ გზაზე სრულქმნას გრძნობდეს მომავალი!

დე დაიწვი ამ ძიებით, ფერფლად იქცეს შენი სახე,
ოღონდ ბედის ბეჲ-საზღვარი გიჟურ ფრენით გადალახე,
არ დაგძლიოს მწუხარებამ, არ გაგიტყდეს ტანჯვით გული,
სადაც ვიყოთ—ძლევით ვიყოთ, თუნდაც ვიყოთ დაკარგული!

რაა ყოფნა უსიცოცხლო? ან თვით ყოფნა არის რაში:
თუ არ მუდმივ ძიებისა და მარადი ღელვის ზღვაში?
ან ბუნების სამოთხეში უნაღვლოთ და უზრუნველთ,
საუკუნო ნეტარებით ვინ იცხოვრებს ზურმუხტ ველად?!

ეჰ, გაფრინდი, გამიტაცე, ცეცხლის ფრთებზე გამაქანე,
რომ განვჭვრიტო ჟამთა სივრცე, წუთი სოფლის ოკეანე,
რომ მიწისთვის დაფარული საიდუმლო ავხსნა ცისა
და შემდგომად დარჩეს სოფელს აზრი მარად სიცოცხლისა!

და თუ სადმე დავეცემით სევდის ისრით განგმირული,
სამშობლოსგან უნუგეშო, მოყვასთაგან განწირული—
მზე იქნება ჩვენი სატრფო, მთვარე ჩვენი მეგობარი
და ოცნების „სულთათანას“ შორეული გვეტყვის ქარი!

და სოფელი, ვინც ჩვენ ასე აგვიკლო და დაგვალონა,
ვინც ოცნება შეგვიგინა, დაგვამცირა ვითა მონა,
როცა ასწევს დაფარულსა წუთისოფლის სევდის ოლარს:
ჩვენს კუბოზე წაიკითხავს უკვდავების მოსაგონარს!..

განგებისგან მოვლენილო ფრთა მარმაშო ჩემო რაშო,—
გასწი, გასწი! მინდა ბრძოლა, მინდა სხივებს ვეთამაშო!
გადალახე ცათა სფერო, ზღვათა სივრცე, ჟამთ საზღვარი,
ცეცხლის სეტყვათ მიმოფანტე უკვდავების ფიქრთა ჯარი!

ნ. ჩხიკვაძე.

ახალი ამბები

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ბ. ნოე ჟორდანია მორჩა და თანამდებობის ასრულებას შეუდგა.

◆ **პრაქტიკული აკადემია.** 22 სექტემბერს შესდგა კრება სავაჭრო-სამრეწველო პალატის კომიტეტისა, რომელსაც დაესწრნენ, სხვათა შორის, ფინანსთა მინისტრი ბ-ნი კანდელაკი, რექტორი სახელ. უნივერსიტეტისა პროფესორი მელიქიშვილი და სხ. კრებამ მოისმინა მოხსენება პალატის სასკოლო განყოფილების გამგის ბ-ნი მიხეილ თაქთაქიშვილისა შესახებ, ტეხნიკურ და საპროფესიო განათლებისა. განათლების გეგმა მიღებულ იქნა. კრებამ დაადგინა: დაარსდეს პირველ რიგში სავაჭრო-სამრეწველო პრაქტიკული აკადემია 4 სემესტრიანი, აკადემიის სამოსწავლო გეგმის შესადგენათ არჩეულ იქმნა კომისია 3 კაცისაგან: ფინ. მინისტრი კანდელაკი, პროფ. მელიქიშვილი და მიხეილ თაქთაქიშვილი. კომიტეტი თხოულობს პალატის საზოგადო კრებისაგან სასწავლო პროგრამის განსახორციელებლათ ჯერ ჯერობით 1 მილიონ მანეთს.

◆ ამერიკის სამხედრო წარმომადგენელს სომხეთის მთავრობასთან, გენერალ ჰარბორდს, 27 სექტემბერს მოელიან ერევანში.

◆ სომხეთის დიპლომატიურ წარმომადგენლათ ბათუმში დაინიშნა იურისტი ა. ჩიმიშკიანი.

◆ **მობილიზაცია სომხეთში.** გუმბრში გამოცხადდა მობილიზაცია 32 წლამდე. მობილიზაცია არ ეხება რკინის გზისა და ფოსტის მოსამსახურეთ.

◆ საქართველოს ერობათა აღმასრულებელმა კომიტეტმა აირჩია ბიურო, რომელშიაც შედიან: ლორთქიფანიძე, ქუთათელაძე და ცაგაშვილი.

◆ **ღვინის და საკონიაკო სპირტის დამზადება.** მიწათ-მოქმედების სამინისტროს სახელმწიფო ქონების განყოფილებამ შუამდგომლობა აღძრა მთავრობის წინაშე, რათა გადასცენ მის განკარგულებაში სამი მილიონი მანეთი. განყოფილებას სურს ამ ფულით შეიძინოს 12000 ფუთი ყურძენი, რომლისაგან უნდა დაამზადონ ღვინო და საკონიაკო სპირტი.

◆ **ხანდრო მაისურაძის სახელობის წიგნთ-საცავ-სამკითხველოს** საზეიმო გახსნა მოხდება კვირას, დილის 11 ს. (ელისაბედის და ნეკრასოვის ქუჩის კუთხე, „ზომონდის“ სასტუმრო) მიწვეულ არიან მთავრობის, დემოკრატიულ, პროფესიონალურ საბჭოების და საზოგადო დაწესებულებათა წარმომადგენლები, შესვლა საზეიმო გახსნაზე საგანგებო ბარათებით.

◆ **სახ. უნივერსიტეტის** ქართული სექცია აცნობებს, რომ ყველა ქართულ განყოფილებებში უნივერსიტეტის-პროგრამის მიხედვით მეცადინეობა დაიწყება 5 ოქტომბრიდან, რომელიც დაუბრკოლებლივ და ნორმალურად აწარმოებს. კვირას, 28 სექტემბერს, საღამოს 6 საათზე, რუსული კლუბის ყოფილ შენობაში (პლეხანოვის ქუჩა, სახლი № 123) დანიშნულია ქართულ განყოფილებათა, ლექტორთა, ლექტორობის მსურველთა და განყოფილებების წარმომადგენელთა კრება, რომელზედაც აუცილებლად ყველა უნდა გამოცხადდეს განყოფილებები, რომელთაც წარმომადგენელნი არა ჰყავთ, ან და ახალ პირების არჩევას ეპირებიან, 28 სექტემბერს ყველა უნდა გამოცხადდნენ.

◆ ვაჭრობა მრეწველობის პალატის თავმჯდომარე დ. გ. აფხაზი თანამდებობას თავს ანებებს.

◆ **სტუდენტთა საღამო.** 11 ოქტომბერს, სახ. უნივერსიტეტის სტუდ. სასადილოს ფონდის გასაძლიერებლად გაიმართება კაბარე ვახშმით. მოწვეული იქნებიან გამოჩენილი ძალები. მაგიდები წინდაწინ უნდა დაიკვეთონ. თითო მაგიდა (4 კაცისათვის) ეღირება 100 მან. ბილეთების შეძენა შეიძლება სასადილოში.

◆ **თანამდებობიდან დათხოვნა.** შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებით დათხოვნილ იქმნა სამსახურიდან ქუთაისის საგუბერნიო ციხის უფროსი ვ. ბაქრაძე და მისი თანამდებობის ასრულება დროებით ნ. ხასაიანს მიენდო.

◆ **დატუსაღება** განსაკუთრებულ რაზმმა დაატუსაღა კ. ჭელიძე, რომელსაც ბრალი ედება მრავალ სხვა და სხვა ადგილას დაცემაზე მონაწილეობის მიღებაში.

◆ **რვეულები.** კულტურის და შრომის კავშირის მსწრაფლ მბეჭდავმა და ამზადა, განათლების სამინისტროს დავალებით რვეულები შეგირდებისთვის, ერთ ხაზიანი და ორ ხაზიანი (ქართული). რვეულები ეძლევათ ერობათ დაბალ ფასებში.

კრებები.

— დღეს, საღამოს 6 საათზე, ბიუროს ბინაზე, დანიშნულია მე-6 რაიონის ს. ს. დ. მ. პ. კოლექტივის მორიგი სხდომა.

— დღეს, საღამოს 6 საათზე, ბიუროს ბინაზე შესდგება საქართველოს ს. დ. მ. პარტიის მეორე რაიონის წევრთა ჩვეულებრივი კრება.

— ხუთშაბათს, 25 სექტემბერს, საღამოს 6 საათზე შესდგება ს. ს. დ. მ. პარტიის მეორე რაიონის კოლექტივის ჩვეულებრივი სხდომა (კახეთის ქ. № 1).

— დღეს, 25 სექტემბერს, შუადღის 3 საათზე დანიშნულია ნაძალადევის რაიონის სახალხო გვარდიის საზოგადო კრება. კრებაზე დასწრება ყველა გვარდიელებისთვის სავალდებულოა.

მთავრობაში

18 სექტემბრის სხდომაზე მთავრობამ დაადგინა:

— გადაიდოს ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის განკარგულებაში 10,000 მან. 10 მილიონიან ფონდიდან სოხუმის საკრედიტო დაწესებულებათა რევიზიის მოსახდენათ.

— ნება მიეცეს სამხედრო უწყებას ამა წლის სექტემბრის კრედიტი § 1, მუხ. 3, გადიდოს 3,500,000 მანეთამდე იმ პირობით, რომ მომავალ 8 თვის განმავლობაში ხსენებული კრედიტი შემცირებულ იქნება აღნიშნულ თანხით.

1) სოხუმის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარედ დაინიშნოს იმავე ოლქის საგანგებო სასამართლოს თავმჯდომარე გიორგი სიდამონ-ერისთავი.

2) სოხუმის ოლქის სასამართლოს პროკურორის თანამდებობის ასრულება დროებით დაევალოს თფილისის ოლქის სასამართლოს ბრალმდებლის ამხანაგს დიმიტრი ჩხეტარიშვილს.

უცხოეთი

ალბერტ ტომას პროექტი საფრანგეთის რკინის გზების ნაციონალიზაციის შესახებ.

28 აგვისტოს, გზათა მინისტრმა მ. კლავეიმ წარუდგინა საამშენებლო კომისიას პროექტი ალბერტ ტომასი, რომელიც შეეხებოდა საფრანგეთის რკინის გზების ნაციონალიზაციას. მინისტრმა განაცხადა, რომ მთავრობას ამ ჟამად შეუძლებლად მიაჩნია მიიღოს ტომ.ს პროექტი. თავის მხრივ მინისტრმა გააცნო პროექტი რკინის გზების შეერთების—რომელიც უნდა განაგოს კომიტეტმა—რომლის შემადგენლობაც ასეთი იქნება: წარმომადგენლების კამპანიისა, პერსონალისა, სახელმწიფოსი და რკინის გზის კლიენტების.

ბერლინის საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი.

გაზ. „ჰატ-ურ-აბენდბლატი“ იუწყება, რომ ნამდვილ წყაროებიდან ვიცით, რომ განზრახული საპროტესტო გაფიცვა ბერლინის მუშათა საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტის დათხოვნის შესახებ, გადადებულ იქნა. განზრახულია გადატრიალება მოახდინონ 9 ნოემბერს, რევოლიუციის წლის თავზე. მთავრობას გადაწყვეტილი აქვს მიიღოს სასტიკი ზომები მეამბოხეთა წინააღმდეგ.

დამოუკიდებლების და კომუნისტების კონფერენციამ მიიღო რეზოლიუცია, რომლითაც უცხადებს ომს მთავრობას და ემუქრება ქვეყნის ეკონომიურ ცხოვრების შეჩერებით. კომუნისტებმა გამოუშვეს მოწოდება მუშებისადმი, სადაც მოითხოვენ, რომ მუშებმა არ მიიღონ მონაწილეობა იმ მუშაობაში, რომლით ც სურთ დანგრეული საფრანგეთის პროვინციები აღადგინონ. აგრეთვე—მუშებს მოუწოდებენ არ შეასრულონ საზავო ხელშეკრულება.

ლატიშთა დელეგაციის ნოტა.

ლატიშთა დელეგაციამ მიმართა ნოტით უმაღლეს მთავრობას, სადაც აღნიშნულია მდგომარეობა ლიტვის იმ ნაწილისა, რომელიც გერმანელების ხელშია. დელეგაცია მოითხოვს მიღებულ იქნას ყოველივე ზომები, რომ გერმანელებმა დაუყონებლივ დასტოვონ მათი ტერიტორია.

(ჰუმანიტე. 29 აგვ.)

პასუხათ „სახალხოელებს“

დიდი ხანია, რაც მგელაძის წინააღმდეგ „სახ. საქმე“ კამპანიას აწარმოებს; რა არ შეთხზა მან და მისმა სულის ჩამდგმელმა კორესპოდენტებმა ამ ხნის განმავლობაში, მაგრამ ის, რაც ხდება ამ უკანასკნელ დროს, ყოველ საზღვარს სცილდება.

სხვათა შორის „სახ. საქმის“ 628 №-ში ვინმე „მიუდგომელი“ ეხება ჩემს და ჰეიშვილის ქალის ინციდენტს და სწერს თითქო მე შეურაცყოფა მიმეყენებიოს ჰეიშვილის ქალისთვის სამსახურის შესრულების დროს, და მგელაძემ მე, მტყუანი ხელ უხლებლათ დამტოვა და ცამდი მართალი ჰეიშვილის ქალი მე-5 თე განყოფილებაში გადაიყვანა. მე ვამტკიცებ, რომ ეს მტკნარი სიცრუეა ჰეიშვილის ქალი ჩემსა და სამსახურის წინაშე მტყუანია და მისი სასჯელი გადაყვანა კი არა, დათხოვა უნდა ყოფილიყო. მე მას, როგორც უფროსმა, რამდენიმეჯერ მოვსთხოვე დამჯდარიყო და ემუშავა აპარატზე, რომელიც გაცხარებით ეძახოდა მორიგეს, განკარგულების შესრულების მაგიერ მან მე ფეხების ბაკუნით ლანძღვა დამიწყო და რომ თავი ემართლებია, ცილი დამწამა; ასევე მოექცა წინადღით უფროს მებურიშვილს და ასეთივე ქცევისთვის ქუთაისის მოსამსახურეებს დაადგინათ მისი სამსახურიდან გაძევება (იხილეთ გამოძიებანი: ჰეიშვილის ქალის პირადი საქმე). „მიუდგომელი“ და კამპანია ახლა მას მფარველობას უწევენ.

„სახალხოში“ ატეხილი ალიაქოთი ათი-თხუთმეტი შეთქმული კარიერისტის საქმეა; როგორც ამბობენ, მათ თანამდებობანიც უკვე დანაწილებული აქვთ და საშუალებებსაც აღარ ზოგავენ, რომ როგორმე არსებული ადმინისტრაცია მოაცილონ და თვითონ ჩაიგდონ მათი ადგილები; რას იზამთ, ასეთია ძველი „ჩინოვნიკის“ ფსიხოლოგია.

ა. მეფარიშვილი.

თფ. საბაღოსნო სკოლის გარშემო

მიწათმოქმედების სამინისტრომ კავკასიის სამეურნეო საზოგადოებას ჩამოართვა ის მიწა, რომელზედაც საზოგადოებას აშენებული ჰქონდა და ინახავდა თფილისის საბაღოსნო სკოლას. გაზეთებში ცნობა იყო მოთავსებული, რომ სამინისტრო ხსენებულ მიწას იჯარით რკინის გზის სასურსათო კომიტეტს აძლევსო.

რასაკვირველია, ასეთი ზომის მიღება იმ სასწავლებლის შესახებ, რომელსაც საუკუნოდ შორეული წარსული აქვს, ჩემთვის გულის მომკვლელი იქნებოდა. მოველოდი, რომ თუ სკოლა ამ ბოლო ხანებში რღვევას და ხრწნას განიცდიდა, დღეს მას ახალი ცხოველმყოფელი სული ჩაებერებოდა და სამეურნეო საზოგადოებაც თავის მუშაობის გზას შესცვლიდა. ამიტომ იყო, რომ თავგამოდებით ვიცავდი სამინისტროსა და ამხანაგების წინაშე სამეურნეო საზოგადოების უფლებას ამ მიწაზე. მე თორმეტი წელიწადია ამ სკოლაში ვმასწავლებლობ და ვიცი სამეურნეო საზოგადოების მუშაობის უნარიც, მაგრამ მას შემდეგ, რაც ჩვენი ცხოვრება განახლების გზას დაადგა, მას შემდეგ, რაც საზოგადოებაში სკოლის რევიზია მოვითხოვე და ვფიქრობდი საზოგადოება ყურადღებას მიაქცევს ამ ოფიციალურ განცხადებას მეთქი,—ის (საზოგადოება) ისევ თავის კალაპოტს დაუბრუნდა და თითქო განზრახ, განაგრძობს სკოლის გამგის მელიას დაცვა-დაფარვას.

სამინისტრო მუდამ იმას ამბობდა: აბა რა კულტურულ მუშაობას აწარმოებდა საზოგადოება სკოლაში?

დიახ კულტურული მუშაობა!

სამინისტრომ სწორად უპოვა სამეურნეო საზოგადოებას „აქილესის ნახჰი“. მართლაც, რა კულტურული მუშაობა სწარმოებდა სკოლაში ამ უკანასკნელ ოთხი წლის განმავლობაში? მოგეხსენებათ, თფილისის საბაღოსნო სკოლას განაგებს ვინმე პეტრე მელია, კაცი სრული და ახოვანი, მაგრამ „მჩურჩვნელი და ანგარებათა მოყვარე“.

არა მგონია დღიდან ომის გამოცხადებისა, რომელიმე დაწესებულებას ისეთი კოშმარული მდგომარეობა განეცადოს, რაც თფილისის საბაღოსნო სკოლამ განიცადა ამ ვაჟბატონის წყალობით. ომის დაწყებიდან დღემდის სკოლა წარმოადგენდა არა სასწავლებელს, არამედ სავაჭრო სახლს, სადაც ბატონი გამგე აგროვებდა და ჰყიდდა ყოველ გვარს საქონელს: ტყლაპს, ხორბალს, ლურსმანს, საცვლებს და სხვადასხვა საწვრილმანოებს. საკლასო ოთახები საწყობს წარმოადგენდა და ვაჭრობა იყო გაჩაღებული. დილიდან მოკიდებული საღამომდის ეს ვაჟკაცი სკოლის ეზოში აფარებულ ჩარჩ-ვაჭრებთა შორის იდგა და სპეკულიაციას ეწეოდა. შეგირდები ღვთის ანაბარად იყვნენ მიგდებული, ან თვით მელიას ტყლაპის ხმობას უნდებოდნენ. ერთის სიტყვით, საბაღოსნო სკოლაში სპეციალურად სწავლის მეტი ყველაფერი ხდებოდა. ბოსტანში და ბაღში ბ. მელიას ხარები, ძროხები და ცხენები დაფუნდრუკობდნენ.

ეს ხდებოდა უკანასკნელი ოთხი წლის განმავლობაში. ბ. მელია [illegible] საიჯარო საქმეებს იღებდა, ხან [illegible]თვის მორსისა და კონსერვების მიწოდებას და სკოლა უპატრონოდ იყო მიტოვებული. [illegible] მოიძებნება სკოლის ინვენტარის აღწერილობა, [illegible] ფლანგულია ქონება სკოლის, მითვისებულია სკოლის ფულები, არ ყოფილა სასკოლო ჟურნალი, არ წარმოებულა მუშაობის და სანოვაგის ტაბელი—ყველა ეს მოხსენდა საზოგადოებას ოფიციალად, მოვითხოვე მისი მხრით რევიზია—და სამეურნეო საზოგადოება სდუმს.

ჩვენ ხელობად არ გვაქვს სპეკულიანტების ძებნა, განა ცოტაა მათი რიცხვი, მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლიან არ ავლაგმოთ, როცა სასწავლებლის სათავეში მდგომი ადამიანი სპეკულიაციას მოჰკიდებს ხელს, სასწავლებელს არ ჩამოშორდება და ისიც მავნე და ბოროტ სპეკულიაციას ეწევა. ასეთია ბ. მელიას მოღვაწეობა თფილისის საბაღოსნო სკოლაში, ასეთ მის მოღვაწეობას სამეურნეო საზოგადოება გულგრილად უყურებს და რა გასაკვირია, რომ მელიას გასამდიდრებლად მას სამინისტრომ მიწა არ დაუთმოს.

მე რომ გული მტკიოდეს საბაღოსნო სკოლის შესახებ, ეს კიდევ არ ნიშნავს, რომ სამინისტრო ერთგვარად მართალი არ იყოს თავის მოქმედებაში.

ოღონდ აქ იბადება მეორე კითხვა: დაიკეტოს მთლად ეს სკოლა თუ სამინისტრომ გახსნას და აწარმოვოს ის შეცვლილი სახით და პროგრამით?

ჩემის აზრით ხსენებულ ადგილზე უნდა გაიხსნას მებოსტნეობის, მეყვავილეობის და თესლების დამამზადებელი სკოლა. ამისთვის ადგილიც სხვაა და კლიმატური პირობებიც ხელს უწყობს, როგორც სასუქის შოვნაში, ისე ბაზრის მოპოვებაშიც. ჩვენს ქვეყანას მეტის მეტად ეჭირვება თესლეულების დამზადება. სწორედ ამგვარ სამოქმედო ცენტრად შეიძლება გადაიქცეს თბილისის საბაღოსნო სასწავლებელი და ახლო მომავალში დიდი როლი ითამაშოს ჩვენის ქვეყნის მეურნეობაში, მაგრამ... მთავარი ის არის, რომ სათავეში უნდა ჩაუდგეს მცოდნე და მჯაითი კაცი და არა ისეთი უვიცი და ხეპრე გამგე, რომელსაც ათეული წლების განმავლობაში ერთი მაგალითად საჩვენებელი მცენარე ვერ გაუზრდია სკოლაში.

ფ. მგელაძე.

რკინის გზაზე.

რკ. გზაზე კიდევ ხშირად ხდება ხოლმე უსამართლობა. 14 სექტემბერს ჩვენ შემდეგი ამბავი შეგვემთხვა: ამ დღეს დილის 6 საათზე ჩვენ დაუსხედით შიომღვიმის პლატფორმაზე ქალაქისკენ წამოსასვლელად. ყველამ იცის, რომ პლატფორმაზე ბილეთს არ ჰყიდიან. მცხეთამდე კანტრამარკით მივდივართ, რომელსაც ვაგონში ასვლისას ვყიდულობთ და მცხეთაში კი ბილეთს ვიღებთ ხოლმე. ვაგონში ასვლისას ჩვენ დაუწყეთ კონდუქტორს ლოდინი, რომ კანტრამარკა გვეყიდა, მაგრამ ვერ ვნახეთ. ამ დროს მოვიდა კონტროლიორი გოგოლაძე და ბილეთები მოგვთხოვა. ჩვენ უთხარით, რომ აი ეხლა პლატფორმიდან მოვდივართ, კანტრამარკა უნდა ავიღოთ მცხეთამდე და მცხეთაში კი ბილეთებს ვიყიდით მეთქი. მან ეს არ დაგვიჯერა: წარგვადგინა მცხეთაში როგორც უბილეთონი და ფულიც მეტი გადაგვახდევინა.

გ. უჯარაშვილი.

ს.-დ. პარტიაში

თფილისი. შესდგა მეხუთე რაიონის კოლექტივის ჩვეულებრივი კრება. ამხ. ფ. ნინუა ლაპარაკობს, რომ კახ. რკ. გზ. მუშების შორის უნდა მოეწყოს სამეცადინო წრეები. კრებამ ეს სასურველათ სცნო და ამ წრეების მოსაწყობად აირჩია ორი ამხ. გ. ბალარჯიშვილი და ფ. ნინუა.

პირველ სექტემბრიდან დაარსდა ორი ახალგაზრდათა სამეცადინო წრე. პირველ წრეში თფილისში (კახ. რკ. გზ. სამართველოში) 15 წევრია მეორე წრეში სად. ნავთლუღში (კახ რკ. გზ.), სადაც არის 30 წევრი.

აგრეთვე გადადგმულია ნაბიჯი, რომ კახ. რკ. გზ. ლიანდაგზედაც და ზოგიერთ სადგურებზე მოეწყოს ასეთივე სამეცადინო წრეები.

მდივანი ლ. ახობაძე.

ზემო-გომის რაიონის ს. ს. დ. მ. პ. ორგანიზაციების წარმომადგენელთა ყრილობა. 14 ენკენისთვეს სადგურ ზემო-გომში (გორის მაზრა) მოხდა რაიონის ორგანიზაციების წარმომადგენელთა პირველი ყრილობა. კრებას დაესწრნენ შემდეგი ორგანიზაციებიდან: გომის, ატოცის, თიღვის, თერეგვანის და ხავლეთის. არ დაესწრნენ: ქელეთის, წრომის და ფაყის ორგანიზაციიდან. კრება გახსნა ადგილობრივი ორგანიზაციის თავმჯდომარის ამხ. ვ. ესვანჯიას თავმჯდომარეობით. დღის წეს-რიგში იყო შემდეგი საკითხები: 1) მოხსენება ადგი-

---

დი აუზვით, განსაზოგადოებრიობას კი არ უარყოფენ, არამედ პირიქით, აუცილებლობათ ხდიან. მაგრამ სამი რამ უნდა გვახსოვდეს ამასთანავე:

1. ყოველი ნაბიჯი სოციალიზმისაკენ დიდის სიფრთხილით აწონ დაწონვისა და წარმოების ყველა შტოების კონკრეტიულათ ყოველ მხრივ შესწავლის შემდეგ უნდა იქნეს გადადგმული. წინააღმდეგ შემთხვევაში მისი ბედი საშინელი იქნება. საქმე ხალხის ფიზიკურ არსებობას ეხება. ამასთანავე ყოვლად შეუძლებელია მთელი წარმოების მთლიანად ერთბაშათ შეცვლა, როგორც ტეხნიკურ, ისე საერთაშორისო პირობების გამო. უნდა მოხდეს თანდათანობით განსაზოგადოებრიობა, რომლის ხანგრძლივი, მიზანშეწონილი და შეგნებული პროცესი უნდა იყვეს და არა სამოქალაქო ომი, რომელიც საწარმოვო ძალთა განადგურებას გამოიწვევს. პოლიტიკური რევოლიუცია თუ შედარებით მოკლე და სისხლით ნასყიდი პროცესია, სოციალური რევოლიუცია მეტ დროს და წარმოების სამოქალაქო ომისგან დაცვას თხოულობს.

2. მთელი მოქმედება მეურნეობის სფეროში ერთს ორგანიულად შეკავშირებულ და მთლიან სოციალისტურ გეგმას უნდა ეთანხმებოდეს. არა ერთი და ორი დღის ინტერესები, არამედ მთელი ახლო მომავლის ეკონომიური განვითარების გათვალისწინება უნდა დაედვას გეგმას საფუძვლათ. წარმოების იმ შტოებში, სადაც დღესდღეობით სოციალიზმის გატარება შეუძლებელია, უნდა შევეცადნეთ მისთვის ნიადაგის მომზადებას. ერთის სიტყვით მთლიანი მოქმედება და ამ მოქმედებაში სოციალისტურ მიზნების შესისხლხორცება—აი რა არის საჭირო. წინააღმდეგ შემთხვევაში წარმოების ასეთ არევ-დარევის ხანაში შეიძლება ძალა-უნებურათ ისეთი ძალები გამოვიწვიოთ, „რომელთა თავის მოვლას შემდეგ თვით ვეღარ შევძლებთ“.

3. არავის არ უნდა დაავიწყდეს, რომ განსაზოგადოებრიობას ახლო მომავალში, განსაკუთრებით გერმანიაში, მატერიალურ ცხოვრების შესამჩნევი გაუმჯობესება ვერ მოჰყვება. სოციალიზმი წარმოებისა და ნაწარმოების განაწილების საზოგადოებრივათ მოწყობის პრობლემაა. თუ საზოგადოთ წარმოება დაღარიბებული და დაქვეითებულია, რანაირადაც არ უნდა მოხდეს მის ნაყოფთა განაწილება, შორს მაინც ვერ წავალთ. წარმოების გამოცოცხლებას და მის ფეხზე წამოდგომას კი, რასაც თავის მხრივ მხოლოდ სოციალისტური მოწყობა თუ შესძლებს, კარგი დიდი დრო უნდა. ამიტომ აქ სასწორზე დადებული მუშათა კლასის იდეალური მისწრაფება და მისი სიმწიფე, შორს მჭვრეტელობა. დემაგოგიის და ილიუზიების გავლენას ადგილი არ უნდა ჰქონდეს.

ყველა ეს კითხვები შემდეგ, განსაზოგადოებრიობის სხვადასხვა მხარეების გარჩევის დროს, მკითხველისათვის უფრო ნათელი და ცხადი შეიქნება.

ჩვენ ზევით ორი სხვადასხვა აზრი მოვიყვანეთ განსაზოგადოებრიობის შესახებ. უნდა აღინიშნოს, თუ საკითხს სუბიექტიურათ შევხედავთ, პირველი შეხედულება არც ერთ პარტიის პროგრამას არ შეადგენს. მხოლოდ რამოდენიმე პირი მეუმრავლესეთა სოც.-დემოკრატიულ პარტიაში თუ იზიარებს მას. სამივე სოციალისტური პარტია გერმანიისა სოციალიზმის განხორციელების ეხლავე დაწყების მომხრეა.

სურათი იცვლება თუ საკითხს ობიექტიური, ფაქტიურ თვალსაზრისით შევხედავთ. მაშინ დავინახავთ, რომ სხვადასხვა, უმთავრესად პოლიტიკურ, მიზეზების გამო, მთავრობაში მომქმედი მეუმრავლესე სოც.-დემოკრატიული პარტია პირველ ჯგუფის აზროვნებას ვერ გასცილებია.

უმთავრესად პოლიტიკური მიზეზთა გამო—ვსთქვით ჩვენ. ცხადია სხვადასხვა სოციალისტურ პარტიების განსაზოგადოებრიობასთან დამოკიდებულების გასარკვევათ და აგრეთვე ამ პრობლემის ისტორიის გასაგებათ, საჭიროა გერმანიის რევოლიუციის მსვლელობის და მისი პოლიტიკურ მხარის მოკლეთ აღნუსხვა. პოლიტიკური და ეკონომიური მომენტი ხომ მჭიდროთ არის ერთმანეთთან დაკავშირებული!

ბ. რამიშვილი.

(შემდეგი იქნება).

ლებიდან, 2) მომენტი, 3) პარტიული მუშაობა, 4) კოლექტივის არჩევნები, 5) კულტურული მუშაობა, 6) უსაფუძვლო ხარჯები და სკოლები სოფლად, 7) შეიარაღება ყაჩაღთა წინააღმდეგ, 8) ერობები და ადმინისტრაცია, და 9) 74 მილიონიანი გადასახადი. პირველ საკითხზე გომის ორგანიზაციიდან მოხსენებას აკეთებს ამხ. ვ ესვანჯია. იგი აღნიშნავს, რომ ის კმაყოფილია პარტიული მუშაობით, მიუხედავათ იმისა, რომ ეს უკანასკნელი პირველად სათანადო სიმაღლეზე არ იყო. კაი ხანია რაც გორის რაიონულ ორგანიზაციას უნდოდა გაება ქსელი ყველა ორგანიზაციებთან, და ესეც მოვახერხეთ პროპაგანდისტის ამხ. ანტონ ბიბილოვის წყალობით, რომელმაც დაარსა ეს ორგანიზაციები. მე იმედი მაქვს—ამბობს მომხსენებელი,—რომ ეს ჩვენი პირველი ყრილობა კარგათ შეგვაკავშირებს ერთმანეთთან და უფრო კარგად ვაწარმოებთ ჩვენ პარტიულ საქმიანობას.

თერგვანის ორგანიზაციიდან ამხ. ლ. ნებიერიძე ამბობს, რომ იქ ორგანიზაცია დაარსდა ამ წლის მაისში, ჰყავს 25 წევრი. კრებები ხშირ ხშირად ხდება. აქვს თავისი პარტიული ბეჭედი, ოქმებიც იწერება, ხალხი ნდობის თვალით უყურებს. თილის ორგანიზ. ლაპარაკობს ამხ. სიმონ იაკოფაშვილი, ის ამბობს, რომ თილვაში ორგანიზაცია დაარსდა მიმდინარე წლის თებერვალში, ჰყავს 30 წევრი, კრებები ხდება ხშირ-ხშირად, ოქმებიც იწერება, გვაქვს პარტიული ბეჭედი და სათანადო წიგნაკები. ხალხი ნდობის თვალით გვიყურებს, თუმცა პირველად ბევრი მოწინააღმდეგენი იყვნენ, მაგრამ ეს მოსდიოდათ მათი შეუგნებლობით და არა იმით, რომ სხვა მიმართულებას ეკუთვნოდენ, ჩვენში სხვა პარტიის მიმდევრები არ არიან.

ატოცის ორგანიზაციიდან მოხსენებას აკეთებს ამხ. ნ. გოგიჩაშვილი. იგი ამბობს, რომ ატოცში 8 თვეა რაც არსებობს ორგანიზაცია, ჰყავს 23 წევრი, თავმჯდომარე, მდივანი და ხაზინადარი. გვაქვს პარტიული ბეჭედი და სათანადო წიგნაკები; აგრეთვე გვაქვს სხვადასხვა პარტიული წიგნაკებიც. ზაფხულობით მინდვრის მუშაობა ძალიან გვიშლიდა ხელს და პარტ. მუშაობა შესუსტებული იყო, მაგრამ ახლა ისევ შეუდგებით ენერგიულ მუშაობას. ჩვენ სოფელში ორგანიზაციის კონტროლ ქვეშ გვყავს ეგრედ წოდებული „მომრიგებელი კამერა“, რომელიც არჩევს სოფლის წვრილმან საქმეებს, მხოლოდ დიდი საქმეები კი გადადის ერობისა და ადმინისტრაციის ხელში. ხავლეთის ორგანიზაციიდან ლაპარაკობს ამხ. ა. გასიევი. იგი ამბობს, რომ სოფ. ხავლეთში 3 თვეა რაც დაარსდა პარტ. ორგანიზაცია, მაგრამ ჯერ კიდევ ხალხში დიდი მუშაობაა საჭირო; გვყავს 30 წევრი, ჯერ არა გვაქვს პარტიული ბეჭედი და წიგნაკები, მაგრამ იმედია, რომ ახლო ხანში მოვეწყობით; ჩვენში მიწის საკითხი ძალიან გამწვავებულია და უფრო მის გარშემო ვტრიალებთ, სასურველი იქნება, რომ ჩვენში მოეწყოს „მომრიგებელი კამერა“, რომელიც გამწვავებულ წვრილმან სადაო საკითხებს უფრო მალე მოაგვარებს ყაჩაღებს და ქურდებს ჩვენში ძალიან სდევნიან თვით ადგილობრივი მცხოვრებნიო და სხვ.

2 საკითხზე (მომენტი) მოხსენებას აკეთებს პასუხისმგებელი პროპაგანდისტი ამხ. ან. ბიბილოვი. ის ეხება ჩვენ გარეშე და შინაურ მდგომარეობას და ჩერდება მრავალ ფაქტებზე.

შემდეგ ამისა ყველა დანარჩენ საკითხებზე სათითაოდ მოხსენებას აკეთებს ამხ. ბიბილოვი, რომლებზედაც ყრილობამ გამოიტანა შემდეგი დადგენილებანი: 1) ყველა ორგანიზაციებში მუშაობა იყოს ნამდვილ პარტიულ ნიადაგზე. 2) ყველა ორგანიზაციებში ფარული კენჭის ყრით მოხდეს კოლექტივის წევრის არჩევნები. 3) დაევალოს ზემო გომის ადგილობრივ ამხანაგებს, რომ ამ დღეებში მოეწყოს სადგურ გომში „კიოსკი“, საიდანაც თავის დროზე სოფლის ორგანიზაციებს მიეწოდება ჟურნალ-გაზეთები და სხვა და სხვა პარტიული ბროშურები. 4) პარტიული ყრილობის აზრით უსაფუძვლო ხარჯებია სოფლად: ქელეხები, ურადები (უმეტესათ ეს არის ოსურ სოფლებში) და სხვა ასეთები; ამიტომ დაადგინა: ვინაიდან ისედაც გაღატაკებული ხალხი უფრო და უფრო ღატაკდება ასეთი ხარჯების წყალობით და სწავლა-განათლება და სკოლების საქმე კი უკანა რჩება, ეთხოვოს სოფლის წვრილ ერთეულებს, რომ მათაც გამოიტანონ ამის შესახებ სათანადო დადგენილებანი და ბოლო მოეღოს ასეთ ცრუმორწმუნეობის ჩვეულებებს; პარტიულმა ორგანიზაციებმა თავიანთი მხრით სასტიკი აგიტაცია უნდა გასწიონ სოფლად ამის შესახებ. 5) იმ სოფლებში, სადაც პარტიული ორგანიზაციები არსებობს, ყველა სასროლი იარაღი უნდა გადავიდეს ამ უკანასკნელის განკარგულებაში, რომელიც ადგენს იარაღის სიას და აცნობებს მახლობელ გვარდიის შტაბს, ხოლო შტაბთან შეთანხმებით კი იარაღდება ხსენებულ სოფლებში სანდო პირები ყაჩაღობასთან ბრძოლისთვის. 6) მოეწყოს ყველგან ფართო მიტინგები და აუხსნან ხალხს, რომ უამისოდ სახელმწიფოს არ შეუძლია არსებობა და ხელი შეუწყონ მის აკრებას, რომელიც უკვე გაწერილია სოფლებზე და რომლის შესახებაც პროვოკაციას ეწევიან ზოგიერთი უპასუხისმგებლო და სახელმწიფოს მოღალატე პირები და ყველა ჯურის ჩვენი მტრები.

სოფლელი.

მუშათა შორის

თფ. თვითმართველობის დაბალ მოსამსახურეთა ცხოვრებიდან. ამ საერთო გაჭირვებულ ხანაში არცერთი დარგის დაბალი მოსამსახურე არ განიცდის ლუკმა პურისათვის იმდენ გასაჭირს, რასაც ითმენენ ქალაქის თვითმართველობის დაბალი მოსამსახურენი, მაგრამ ყველაზე აშკარად აგდებულია ქალაქის ხარჯთამკრეფთა დაბალი მოსამსახურენი („ბიურო სბოროვ“). ყველა მათგანს დავალებული აქვს შეასრულოს აუარებელი სხვადასხვა სამუშაო, მაგრამ მიუხედავათ იმისა, რომ მათ დაკისრებულ მოვალეობის ასრულების დროს ბევრი დამაბრკოლებელი მიზეზები ეღობება წინ, მაინც პირნათლად ასრულებენ თავიანთ მოვალეობას და ამას ვერც ქალაქის გამგეობა ჰკოფს უარს. ჩვენ დიდ დამცირებას ვითმენთ მოქალაქეთაგან, როდესაც მივდივართ ხოლმე მასთან რომელიმე გადასახადის ასაღებათ. გვესმის ლანძღვა გინება, გვესმის საყვედურები, თითქოს ჩვენ ვართ დამნაშავე, რომ მათ დაადევს გადასახადი და სხვ. ვითმენთ ყველაფერს, მაგრამ სამწუხარო ის არის, რომ თვით გამგეობაც გვიგდებს აბუჩათ და ჩვენს ენერგიულ შრომას ჩალის ფასად აფასებს. ორი თვე სრულდება და ჯამაგირი ჯერაც არ აგვიღია. ვიმცირებთ თავს, ვესეხულობთ ან და ნისიად ვხარჯავთ, გასაყიდი კი, რაც რამ გვქონდა, უკვე გავყიდეთ. მე მგონია კანონი ყველასათვის ერთნაირად უნდა იყოს. მაგალითად, ტრამვაის მოსამსახურეები თვეში ორჯელ იღებენ თავის ხვედრ ჯამაგირს, ჩვენ კი ანგარიშს არ გვიწევენ და ხშირად ორი თვე და ხანდისხან მეტიც გვიხდება ცდა. ჩვენ დარწმუნებული ვართ იმაში, რომ ქალაქის გამგეობა ძალას უწევს ანგარიშს და ტრამვაი, როგორც ასეთი, ანგარიშ გასაწევია. ჩვენ კი, განსაკუთრებით ხარჯთამკრეფნი, პატარა ჯგუფი ვართ და არავითარ ძალას არ წარმოვადგენთ. ჩვენ რომ ვმუშაობდეთ, რომელიმე კერძო პირთან, მაშინ სხვანაირად მოვიქცეოდით, მაგრამ ჩვენ ვემსახურებით საზოგადო, დემოკრატიულ დაწესებულებას, რომლის ინტერესებს ყოველ ფეხის ნაბიჯზე ვიცავთ და კიდევაც დავიცავთ. მე აღარ ვაგრძელებ ამ ჟამად წერილს. იმედია ამაზეც მოგვაქცევენ ყურადღებას ქალაქის გამგეობა და აღმ. კომიტეტი და ანგარიშს გაუწევენ ჩვენს გაჭირვებულ მდგომარეობას.

ი. გადიძელი.

თფილისი. 19 სექტემბერს შესდგა სალახთა პროფ. კავშირის ბიუროს კრება. თავმჯდომარეობდა ხერხეულიძე. დღის წესრიგი იყო შემდეგი: 1) არჩევა ორი წარმომადგენლისა ადგილობრივ კულტურულ განმანათლებელ კომისიაში, 2) ლორების დაკვლის ხელფასის შემუშავება, 3) ლოტბარის ჯალიკაძის ჯამაგირის შესახებ, 4) ადამიძის ჯამაგირის მომატების შესახებ და 5) ოთარიშვილის დახმარება. ადგილობრივ საკულტურო კომისიაში, ამხ. ბოკერიას მოკლე მოხსენების შემდეგ, არჩეულ იქნენ ს. ხერხეულიძე და ფორია კერკელიშვილი. ლორების დაკვლის ხელფასის შემუშავების შესახებ, აზრთა გაცვლის შემდეგ, დადგენილ იქნა: თითო ლორის დაკვლაში ხაზინეს მოეთხოვს 60 მან. ლოტბარის ჯალიკაძის შესახებ ბიურომ დაადგინა, ეთხოვოს ჯალიკაძეს განაგრძოს მუშაობა კვირაში ორი დღე და დაენიშნოს თვეში 700 მან. ადამიძის ჯამაგირის მომატების შესახებ ბიურომ კითხვა ღიათ დასტოვა. ოთარიშვილის დახმარება მეხაშეების სექციამ იდვა თავის თავზე, როგორც მეხაშის.

მდივანი პ. ბოკერია.

პროვინცია

გურჯაანი. ბევრ ადგილას საერობო არჩევნების შედეგი წვრილ ერთეულებში იყო ისეთი, რომ საეჭვო ჯგუფებისა და უპასუხისმგებლო პიროვნებათა ზეგავლენით ხმოსანთა კრებულში და გამგეობაში მოჰყვნენ არა სიმედო პირნი, რომელნიც მოქმედებენ თავიანთი პირადი ინტერესებისათვის და ამნაირი საეჭვო მოქმედებით ხელს უშლიან, როგორც ერობის განმტკიცებას ხალხში, ისე ნამდვილ მომუშავეებს, რითაც ხალხის თვალში ამით სცემენ გავლენას ერობისას. მაგრამ დიდი იმედია ასე არ დარჩება ეს, მთავრობისა და სამაზრო ერობის მეცადინეობით გაუმჯობესდება ჩვენი საერობო ერთეულები.

გამოგვიგზავნიან ინსტრუქტორ-სპეციალისტებს, რომლებსაც დღეს მოკლებულნი ვართ, აუხსნიან და ვაურკვევენ ნამდვილ მნიშვნელობასა და სარგებლობას ერობისას ხმოსნებს, განსაკუთრებით ერთეულის გამგეობას, რომელსაც ხშირად არ ესმის თავისი მოვალეობა, თავი მიუნებებია კულტურულ-საგანმანათლებლო საქმეებისათვის და აწარმოებს წვრილმან საჩივრებს, რაც მხოლოდ მილიციის უფროსისა და მომრიგებელ მოსამართლის საქმეა, რომელნიც უკვე გვყვანან.

გურჯაანის ერთეულში შედის სოფელი ვეჯინიც, სოფელში 600 კომლზე მეტია. ამ სოფელში არსებობს ბანკი და კოოპერატივი ესენი არც ერთი არა სდგას თავის შესაფერ დონეზე. საკითხველის არა უშავს რა, რომელიც თავის მეთაურის მეცადინეობით წინ მიდის. სოფელი თავის ანაზარაა მიტოვებული. თუმცა ჩქარა დაიწყება სწავლის სეზონი, მაგრამ სკოლაც მივიწყებულია. არც თემის გამგეობა აქცევს ყურადღებას.

ოთხი თვეა რაც მოვიდა და განაახლა მუშაობა მიწის კომისიამ. საქმით ცოტა კეთდება: დღევანდლამდე არ დაუსრულებიათ ჩამორთმევა მიწებისა. ხალხი კი მოუთმენლად ელის დარიგებას მიწისას. საჭირო იყო ამის დაჩქარება. ამ მიწის კომისიის მუშაობას ყურადღებას უნდა აქცევდეს სამაზრო ერობა და თემის ერთეული, რომლის პირდაპირი მოვალეობაა, რათა კომისია ერთი დღის უმოქმედოთ არ იმყოფებოდეს.

ხმოსანი.

დუშეთის მაზრა. აქ ძლიერ გახშირდა ქურდ-ბაცაცობა. 5 სექტემბერს ღამე დაიკარგა 4 სული კამეჩი ალექსანდრე ლუარსაბისძე ჟინდილაშვილის. ეს 4 სული დაიკარგა უკვალოთ სოფ. ჟინდილაანთ კარში. ამავე ღამეს სოფელ ინიანთ კარში დაიკარგა 4 სული კამეჩი. 3 სული გიორგი იაკობისძე ინიაშვილისა, ერთი ვასილ იაკობისძე ყაჭიურისა. ამ სოფლის გლეხების ცხოვრება იყო დამოკიდებული ამ კამეჩებზე. ბევრი ამისთანა ქურდობა ხდება დუშეთის მაზრაში და ქურდების კვალისათვის კი ვერ მიუგნიათ. საჭიროა ამ გარემოებას მიაქციონ ყურადღება. სტყასპოები გაფრთხილონ და სოფლის კომისრებმაც მიიღონ სათანადო ზომები და იხსნან გლეხი ქურდებისაგან.

ა. უ

ერკეთის საზოგადოება. (გურია). 14 სექტემბერს მოხდა ამ საზოგადოების ერობის ხმოსანთა პირველი კრება გამგეობის ასარჩევათ. კრება გახსნა საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ პ. ბერიძემ, რომელმაც მოუწოდა კრებას დადებითი მუშაობისაკენ. საბჭოს თავმჯდომარედ არჩეულ იქნა პ. ბერიძე, მის ამხანაგათ ბ. თოდრია, მდივნად მ. რამიშვილი. გამგეობის თავმჯდომარედ არ. თოდრია, წევრებათ: ეპ. მგალობლიშვილი და არ. ქლენტი. ბევრი საჭირო საქმეები აქვს გამგეობას გასაკეთებელი, რომლებიც თხოულობს დიდ ენერგიას და გამოცდილებას, მხოლოდ საჭიროა ხმოსნების დიდი დახმარებაც, რომ გამგეობამ შესძლოს თავისი მოვალეობის და დაკისრებული საქმეების პირნათლად შესრულება.

არსენ თოდრია.

შემოქმედი. „ერთობის“ № 206-ში მოთავსებულია წერილი შემოქმედიდან X სა, რომელსაც სურს გაიგოს შემოქმედის ქალთა წრის ორგანიზაციის მიერ შეკრეფილ ფულების ბედი. უნდა აღვნიშნო, რომ X-ს მოსვლია შეცდომა, ვითომ საწევრო გადასახადი ყოფილიყოს 1 მან., ნამდვილათ კი 50 კ. (ათი შაური) იყო. სულ საწევრო და შემოწირული ფული გამგეობასთან ითვლებოდა 298 მან. აქედან 50 კაპ. გადაცემულ იქნა ოზურგეთის ქალთა წრის მიერ დაარსებულ ქალთა პროფესიულ სკოლის სასარგებლოთ, ხოლო დანარჩენი 248 მან. (ქალთა წრის გამგეობის დადგენილებით) გადაეცა შემოქმედის უმაღლეს პირველ დაწყებითი სკოლის სააღმაშენებლო კომიტეტს, იმავე სკოლის სასარგებლოთ. ყოველივე ამის შემდეგ კვიტანციები წარმოდგენილ იქნება პირველ მოთხოვნილებისთანავე. შემოქმედის ქალთა წრის ხაზინადარი ლ. მაჭუტაძე.

წერ. რედაქციის მიმართ

ღია წერილი ხემია სიმონის ძეს აბაშიძეს.

უკანასკნელად გთხოვთ, ბ-ნო ხემია სიმონის ძევ, ჩვენ შორის ატეხილი დავა გაარჩიონ საზოგადოებაში ნდობა დამსახურებულმა პირებმა. მე საბუთი მაქვს ვიფიქრო, რომ ჩვენ შორის ესეთი გამოურკვეველი მდგომარეობის გაგრძელება პირადათ ჩემთვის ცუდი შედეგი მოჰყვება, რაშიაც თქვენ იქნებით პასუხის მგებელი საზოგადოების და კანონის წინაშე.

ირაკლი არაბიძე.

ამხ. რედაქტორო! გთხოვთ დაგვიბეჭდოთ შემდეგი: ჩიბურდანიძის წერილის გამო ამით ვაუწყებთ პატივცემულ საზოგადოებას, რომ ნანიკო ქლენტს მთის პირის შკოლის საღმშენებლო კომისიის მიერ მიცემული ჰქონდა მოწმობა და ლარიანი შემოწმებული წიგნი ამ სკოლისთვის ფულის შესაგროვებლად ამა წლის მარიამობისთვიდან. მ ს მიერ ამ დრომდე ფულის შეგროვების შესახებ ჩვენ არაფერი ვიცით და მაშასადამე მისთვის არც მოწმობა მ გვიცია. დღეიდან კი მას ჩამოერთმევა ყოველივე ანგარიშები, ასკანის თემის გამგეობის მიერ და ანგარიში გამოქვეყნებული იქნება პრესის საშუალებით.

პატივისცემით პატრიქი თალაკვაძე.

ცნობები

გერმანიიდან დაბრუნებულ სამხედრო ტყვეების საყურადღებოთ. მინდა შევეკითხო გერმანიიდან დაბრუნებულ სამხედრო ტყვეებს, თუ რამდენად მართალია ის ხმები, რომ გერმანიაში ტყვეების „საკონცენტრაციო“ ყაზარმებში ადგილი ჰქონდა ტყვეების მოწამლას ტყვეებისავე მიერ, ფულისა და სხვა ქონების მითვისების განზრახვით. მე მომიკვდა იქ ძმა ლევანტი ექვთიმეს ძე ჯვარიშვილი მიზეზად ავათმყოფობას ასახელებენ. მეორე ძმა ჩემი სევერიან ჯვარიშვილი, ავსტრიაში ტყვეობის დროს გარდაიცვალა, რის შესახებ ნამდვილი ცნობები არა მაქვს. ვსთხოვ დაბრუნებულ ტყვეებს მაცნობონ თუ რამდენად მართალია ზემო აღნიშნული ხმები, და მასთან ერთად, რა იციან ჩემი ძმების სევერიანის და ლევანტის შესახებ.—მისამართი: საქ. რკ. გზის სტამბა, პატივისცემით გიორგი ექვთიმეს ძე ჯვარიშვილი.

ბიბლიოგრაფიული შენიშვნა

დ. გორთამაშვილის მებაღეობის წიგნი.

სიამოვნებით წავიკითხე დ. გორთამაშვილის მიერ შედგენილი პირველი ქართული სახელმძღვანელო მებაღეობისა, რადგანაც ეს ერთად-ერთი ქართული სახელმძღვანელოა, საიდგანაც შეიძლება რუსულის არმცოდნე ადამიანმა შეისწავლოს მებაღეობის ხელობა; იგი იმდენად კარგათ, სისტემატიურად არის დალაგებული და შინაარსით სავსე,—რომ, მიუხედავათ პატარა კურსისა, თავისუფლად გამოდგება, როგორც სასწავლებლებში, აგრეთვე ხალხში გასავრცელებლად. ენა მარტივია და ყველასათვის გასაგები, სუფთა და წიგნის გაგება შეუძლიან ყოველ ქართველს, ნასწავლსა და უსწავლელს; ისეთი მთავარი სამუშაოები ბაღისა, როგორიც არის მაგალითად: წამლობა, გაპატიება, გაფხვიერება, მყნობა, უფრო ფართოდ, დაწვრილებით არის აღწერილი, ჩართული აქვს აგრეთვე საჭირო სურათებიც.

რასაკვირველია ამ წიგნს, როგორც ახალს ამ დარგში, თავის სიკეთესთან ერთად, პატარა ნაკლიცა აქვს, მაგრამ მის სიკეთესთან ეს პატარა ნაკლულევანებანი აღარ სჩანან. მაგალითად ის აღწერს მცენარის უჯრედს და ამბობს, რომ იგი შესდგება ქერქისა და გულისაგანაო, ამათ კი ბოტანიკაში გარკვეული სახელი ჰქვიან: კანი და გარსი. შეიძლება ეს სახელები მან განგებ იხმარა, რომ ეს უფრო გასაგები ყოფილიყო სოფლელ მკითხველთათვის, ეს არ ვიცი. დანარჩენი ტერმინები, მაგალითად სახელები მავნე სოკოებისა, მწერებისა, მუშაობის სხვადასხვა ხელშეწყობისა, არსად მოიპოვება ქართულ ლექსიკონებში და, როგორც ეტყობა, ავტორს თითონ მოუგონებია. წიგნი ცოტა არა ჰიგიენურია, დიდი ფორმატიისაა და თვალს ღალავს, მაგრამ ეს გამომცემლის ბრალი უნდა იყოს. ვუსურვებთ ავტორს ეზრუნოს ჩვენი სამეურნეო ლიტერატურის აყვავებისათვის.

მეურნე.

განცხადებანი

ხარები იყიდება

და აგრეთვე [illegible]. მისამართი: მიხეილის ქ. № 148, იკითხეთ კვარტერმეისტერი. 1—1

ცეკვის კურსები
მე 27 ღე წელი
ი. ა. როზენბერგისა.

სპეციალურად კავკასიური ცეკვა. აგრეთვე საბალეტო დამახასიათებელი და ევროპიული. ნაყოფიერი სწავლებისათვის იძლევა პირობას. მიღება ყოველ დღე დილის 10 საათ. საღამოს 9 საათამდე. ნიკოლოზის. ქ № 101. (4—1)

სიმწიფის მოწმობისა

და საშუალო სასწავლებლის სხვადასხვა კლასებისათვის ამზადებს სახელმწიფო გიმნაზიების მასწავლებელთა ჯგუფი. მისამართი: ელისაბედის ქ., № 142, ბინა სამსონიასი, ანუ ალექსანდროვის ქ., № 45, კორძახია, გველესიანი. საღამოს 4—6 საათამდე. (3—2)

ექიმი მ. ჩიჯავაძის ბაქტერიოლოგიური, სერო დიაგნოსტიური და ქიმიურ-მიკროსკოპიული ლაბორატორია იღებს გამოსაკვლევად სისხლს: Wassermann-ის; Weinberg-ის, Widal-ის რეაქციები, სრული კლინიკური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლევა, მალარია, Opermeyer-ის სპიროჰეტები და სხვა. შარდს, განავალს, ნახველს, რძეს, ლორწოს, ჩირქს, ხერხემლის ტვინის სითხეს, კუჭის სითხეს და სხვა. ამზადებს აუტოგენიურ ვაქცინას. 26 მაისის (ოლღის) ქუჩა გამაანთ შესახვევი № 3. მასალა მიიღება დილის 9—1 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

ექიმი ნ. ლ. [illegible]
იღებს ავადმყოფთ შინაგან, ქალურ და [illegible] სნეულ. მუდამ დღე 11—1 საათამდე, ნიკოლოზის ქუჩა № 7 ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ, სიმხოვინის აფთიაქის გვერდით.

კბილის ექიმი
ე. მ. ზიბაური ეხაკიანი
იღებს კბილისა და პირის ავადმყოფებს ყოველ დღე 9—2 საათამდე და საღამოს 4—7 საათამდე. გრიბოედოვის ქუჩა № 15 ბინ. 3. კონსერვატორიის მახლობლად.

ექიმი ბესარიონ პაპუაში
მიიღებს განსაკუთრებით ყელის, ყურის და ცხვირის ავადმყოფებს ყოველ დღე 11—12 საათ. დილით, 5—7 საათ. საღ. მიხეილის პრ. 117, ტელ. 13—27.

ექიმი ლ. ა. ხარალიძე.
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ საღამოს 6—7 საათამდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა № 87. ავჭალის აუდიტორიის ახლო.

ექიმი დ. ვ. ჯავახიშვილი.
იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულებიან ავადმყოფებს დილით 8—9 ს-დის და საღამოთი 4—7 ს-დის. ბინა: მიხეილის პროსპ. № 64. ტელეფონი 14—60.

ექიმი ა. ი. ქუთათელაძე
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულ. ავადმყოფთ საღ. 5—7 საათ. გარდა კვირისა. მიხეილის პრ. № 55. ფოსტის პირდაპირ. ტელ. 10-46.

ექიმი მ. მ. [illegible]
დაბრუნდა და განაახლა ქირურგიულ ავადმყოფების მიღება ახალ ბინაზე— ხრილის საავადმყოფოს გვერდით. ავა მიღება [illegible] 5—6 სა კვირას და უქმე დღეებს გარდა. ტე

ექიმი ა. ო. [illegible]
სპეციალურად სიფილისი და მისი ლებები (შეშხაპუნება „606“ და „91 ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ო განოების სნეულებანი. ავადმყოფე მიღება ყოველ დღე დილის 8—11 საღამოს 5—8 საათამდე. კვირაობ მხოლოდ დილით მისამართი: ოლღ ქუჩა № 33.

ექიმი ქალი ე. ე. [illegible]
მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივ სიტეტისა და ედინბურგის მედიკურ რურგიულ კოლეჯისა. იღებს ყოვე დღე შინაგან ქალის და ვენერიულ ავა მყოფთ და იძლევა [illegible] დარიგებ სიფილისის წამლობა (606—914) დილ 10—12 ს. და საღამოს 5-6 ს. პლ ნოვის პრ. № 119, ტელეფონი № 9—

ექიმი იოსებ რაჟდენის ძე ცინცაძ
იღებს ვენერიულ სნეულ. ავადმყო საღამოს 5—7 საათ. ყოველდღე. პ ხანოვის პრ. № 121, ბინა 4, ტე ფონი 11—06.

ექიმი მ. ზ. [illegible]
ქალისა და სადიასტაქრო ავადმყოფ მიღება ყოველ დღე საღ. 5—7 ს ოლღას ქ. № 41, ტელ. 12—75

მედიცინის დოქტორი ბერლინის ვერსიტეტისა მ. ს. [illegible]
შინაგანი ავადმყოფობა, [illegible] გულისა იღებს ახალ რენტგენის— ქტრო-წამლობის კაბინეტში; ხასი და წამლობა X-ს სხივებით, დიდი ს ნოიდი და [illegible] ტოკით ფილ ბის, გულის და სხვა შინაგანი ავადმ ფობისათვის, ღარიბებს უფასოთ დღე დილის 8—12 საათამდე და ს მოს 6—9 ს. ბებუთოვის ქ. № 23, ლეფონი 7—92.

ექიმი ა. დ. [illegible]
სიფილისი და ვენერიული ს ლებანი. შეშხაპუნება „606“ და „9 მიღება დილით 9—11, საღამოთი ს. მიხეილის პროს. სასტუმრო „ პირდაპირ № 116 ტელ. 14—28

ექიმი დ. მ. [illegible]
[illegible] შინაგან, ყურის, [illegible] ცხვირის სნეულობით ავადმყოფებს ლის 12—1 საათ. საათ. საღამოს 5 საათ. მისამართი: [illegible] ქუჩ 7. ალექსანდრის ბაღის პირდაპირ, ლეფონი 18—65.

ვისაც სურვილი აქვს იყიდოს ან გაყიდოს
სახლები. მაღაზიები
(რომელთა ფასი იქნება 25000—000,000 მ დე,) აგარაკები, მამული, სავაჭრო წესებულება, კანტორები, ავტომობილი, მოწყობილობა და სხვა, მიმართ
ინტელიგენტთა ჯგუფს
დაკითის ქ. № 3, ბინა 2, ტელეფ. 2—28, დილის 11—2 საათ. და საღ. 5—

ოსმალების მიერ ბაქოს აღების დროს დაზარალებულ
ქართველთა საყურადღებოთ
იმ ქართველებს, რომელნიც შარშან სექტემბერს,
ბაქოში დაზარალდნენ და რომელთაც განცხადებანი ბაქოს ქართული ეროვნ საბჭოს გადასცეს, შეუძლიათ ინგლისელთა საკონტროლო კომისიის მიერ დ გებული მოწმობანი დაზარალების შესახებ (ეგრედ წოდებული „ჩეკები“) მიი აქ, თფილისში. მოწმობების მიღება შეიძლება ქ. შორ. წ. კ. გამ. საზ. კანც რიაში შიო დიდაბრიშვილთან ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, 12 დან 2 საათამდე. მოწმობის მიმღებმა უნდა წარადგინოს თავის ვინაობის საბუთი, ლო ვინც სხვას მიანდობს მოწმობის მიღებას, უნდა გადასცეს რწმუნების ქ ლდი, შემოწმებული ნოტარიუსის, ადმინისტრაციის, ქალაქის თვითმართვე ბის, ერობის ან სხვა დაწესებულების მიერ.
3—1 ბაქოს ეროვნული საბჭოს მინდობილობით ილია აგლაძ

კვირას, 28 სექტემბერს ნაშუადღევის სამ საათზე კავშირის გამგეობაში (მ ლის პროსპ. № 139) შესდგება
საერთო კრება ყველა დაჭრილ-დასახიჩრებულთ
დღის წესრიგი: 1) გამგეობის მოხსენება 2) სარევიზიო კომისიის მოხსენ მიმდინარე საკითხები.
1—1 კავშირის გამგეო

ახალი კერძო ქართული გიმნაზია
წელს იხსნება ორი მოსამზადებელი და პირველი, მეორე და მესამე კლ ყველა ცნობების და თხოვნის მიღება შეიძლება ბებუთოვის ქუჩაზე № 56 სართული. (5—

გორის სამაზრო ერობაში საჭირო არის ექიმი-გამ
მედიკო-სანიტარული განყოფილების. მსურველებმა თხოვნასთან უნდა გამო ნონ Curriculum vitae.
3—3 გამგეობ

წიგნების გამომცემლობა ალ. არაბიძე და ამხ. თფილისში. წიგნების საწყ წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზია და ალ. არაბიძესთან. კალოუბ ქუჩა № 5. გამოვიდა და იყიდება

1) ალ. წერეთლის წიგნი
მსოფლიო ისტორია
ნაწილი 1-ლი ძველ საუკუნეთა ისტორია. 46 სურათით. მეორე შევს შესწორებული გამოცემა. ფასი 25 მანეთი.
2) 10 ოქტომბერს გამოვა ალ. წერეთლის წიგნი
მსოფლიო ისტორია
ნაწილი მე-2. საშუალო საუკუნოები.
3) 30 სექტემბერს გამოვა იას. ნიკოლაიშვილის
ქართული მოკლე გრამატიკა
4) 5 ოქტომბერს გამოვა დ. უზნაძის
ძველი ისტორია
5) იბეჭდება და მოკლე დროში გამოვა Я. Зедгенидзе и В. Джапа
Методическая хрестоматія по русскому язы
подготовительный курсъ.
6) იაკ. ზედგენიძე ქართული ანბანი
7) მზადდება დასაბეჭდათ: „ამხანაგი“ კლასგარეში—უბის წიგნი, მი
1919—1920 წ. (2—1